CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

ვისაც სესხები გაქვთ აღებული, ეს ამბავი ძალიან არ მოგეწონებათ



3

N168/3290/ 5 ნოემბერი 2015 წ PRESS ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ბიძინა ივანიშვილმა საქმის გამოსაძიებლად თბილისიდან კაი სპეციალისტებიც კი ჩაიყვანა, ყველაფერი აუდიტს დაათვლევინა და დარწმუნდა, რომ 3 მილიონი დოლარი „მოუტეხეს“, მაგრამ რა უნდა ქნას, საკუთარი ძმა დაიჭიროს, რომელიც თავს იმართლებს, ჩემი ბრალი არ არის, ქალმა გამასულელაო?



12

## ხუთი განსხვავება პროფკავშირების და მთავრობის საპენსიო რეფორმებს შორის

11

კახა კუკავა: „ვთქვათ და გადადგა ნარმანია, მერე რა იქნება? ბიძინა ივანიშვილის ხათრით უარესს აგვარჩევინებენ“(?!)



5

მანანა ნიკოლაიშვილი: „წინა ხელისუფლების დროს ეს იყო უმაღლესი ხელისუფლების პირების ბიზნესი, რა ხდება დღეს, ვის ინტერესებში შედის?“

სად მიდის მასწავლებლების გადასამზადებლად გამოყოფილი მილიონები?



9

ურთმელიძე — უსამართლო... „ნიკა გვარამია“ ნიშნავს უტიფარს! რეგვენს! ნაგავს! მატყუარას! მანიაკს! მწამებელს!“

8

ბოდოკიას 11 წელი მიუსაჯეს, ვანო მერაბიშვილს — 7, საакაშვილს — 0... აეეე, „ოცნება“, შენს სამართლიან სასამართლოს „ჩევეფურჩხნეთ ყიაში“

2

ეეჰ, ჩქიმ ჯიმა, ბოდიში რომ წამალი იყოს... მოკლედ, ხომ იცი, როგორც არის, არა?

2

ყველა სკანდალი, რომელიც კალაძის ცოლისძმას თანამდებობამ მოუტანა — გიორგი არეშიძის პროფესიული და პირადი

6

რა ქონების ჩამორთმევა, რის მოსამართლე პაპუაშვილი... აი, მოსამართლე ურთმელიძე რომ მისაჭირხვნია „ოცნებასთან“ ერთად, წყალი არ გაუვა!

7

იაპონელებმა მამაკაცთა უნაყოფობის სამკურნალოდ ახალი მეთოდი შეიმუშავეს



15

მამაკაცის ფიზიკური ძალის დადგენა მისი ხმის მეშვეობით შეიძლება?



16

ბრიტანულმა კომპანიამ მანათობელი ნაყინი გამოუშვა



16

მილანში რესტორანი მოქმედ ციხეში გახსნეს




15

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ეეჰ, ჩქიმ ჯიმა, ბოდიში რომ წამალი იყოს... მოკლედ, ხომ იცი, როგორც არის, არა?




თბილისის მერი დავით ნარმანია გზებზე შექმნილი საცობების გამო მოსახლეობას ბოდიშს უხდის და აცხადებს, რომ მერია აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ყველაფერს აკეთებს.

როგორც ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, საცობების განტვირთვის მიზნით, გარკვეულ ქუჩებზე დასუფთავების მანქანების მოძრაობაც შეიზღუდება.

– გვინდა ბოდიში მოგიხადოთ. ის შეზღუდვები, რაც გზებზე არსებობს, იწვევს დისკომფორტს და ბოდიშს გიხდით. რაც შეეხება მოქალაქეების მხრიდან გამოთქმულ უკმაყოფილებას პიკის საათებში დასუფთავების ავტომანქანების მოძრაობასთან დაკავშირებით, ჩვენ ინტენსიურად ვიმუშავეთ საღამოს საათებში დასუფთავების მანქანების მოძრაობის საკითხთან დაკავშირებით. სადაც მაღალია გადატვირთულობა, იმ უბნებში სპეციალური გრაფიკი შევიმუშავეთ, კერძოდ, ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში, სადაც ვიწრო ქუჩებია და მოძრაობა ინტენსიურია, შევიმუშავეთ სპეციალური გრაფიკი და 08:30 საათიდან 10:30 საათამდე და საღამოს 17:30 საათიდან 20:30 საათამდე აღარ იმუშავებენ დასუფთავების სამსახურის მანქანები. ეს გარკვეული თვალსაზრისით იმოქმედებს სატრანსპორტო მოძრაობაზე. ასევე, მინდა გამოვეხმაურო, იმას რომ 24-საათიანი მუშაობის შედეგად გმირთა მოედნისა და თამარაშვილის დამაკავშირებელი გზა გაიხსნა, ასევე, მოძრაობა გაიხსნა მდინარე დიღმულაზე. ესეც განტვირთავს მოძრაობას, – განაცხადა ნარმანიამ. (pia.ge)

**ის გზები რომ გაიხსნა, ბატონო მერო, ნამეტანი კარგი ამბავია, მაგრამ რა ვქნათ, არ ამოგვდის ეს მადლობა პირიდან — ეგ გევალებათ ზუსტად, რომ ქალაქზე იზრუნოთ და მაგისთვის გიხდით ხელფასს. ეს ერთი, რაც შეეხება მეორეს, მესამეს, მეოთხეს და მოკლედ, დანარჩენს, რასაც ამბობთ, ყველა სიტყვაზე უნდა გამოგეკიდოთ, უცქირეთ:**

**ბოდიში რომ წამალი არ არის, ამაზე, ვფიქრობ, შევთანხმდით. აი, რაც შეეხება იმას, რომ „მერია პრობლემის აღმოსაფხვრელად ყველაფერს აკეთებს" — რომელ და რა ყველაფერს, ერთი მაგალითი მაინც მოგეყვანათ, გვესიამოვნებოდა ხალხს, გვეამებოდა, გავიხარებდით. ანუ, რა გზებით ებრძვით საცობებს — ვაზელინით გავპოხოთ მანქანები, რომ ადვილად გავძვრეთ ხოლმე პატარა ადგილებში, თუ უფრო მაგარი იდეები გაქვთ?**

**რაც შეეხება პიკის საათებში დასუფთავების მანქანების მოძრაობას — ოოო, აი, ეს კიდევ უფრო მურტალი საკითხია: ახალი გრაფიკიც გეთქვათ, ესეც გვეამებოდა, მაგრამ ჯანდაბას. ერთი კია, ვერ ვიხსენებთ თბილისში ფართოდ გაშლილ და მოხატულ ქუჩებს — ყველგან ვიწრო და წვრილი არ არის, კაცო? ან ვაკეს, ვერასა და საბურთალოს თუ უპირებთ დასუფთავების მანქანებისგან განთავისუფლებას პიკის საათებში, ვარკეთილმა, თემქამ და გლდანმა რა გველ-ბაყაყი შეგიწვათ?!**

**ისე, ერთ რჩევასაც მოგცემთ ბარემ, ბატონო მერო, თქვენ სადაც ცხოვრობთ, „ალია"-„ქრონიკის" მეზობლად, როგორი ვიწრო ქუჩაა, კი იცით. ჰოდა, რომ ჩადგებიან ხოლმე დისტრიბუციის მანქანები, შანსი აღარ რჩება გავლის. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ დისტრიბუციისთვისაც თუ მოიფიქრებთ გარკვეულ შეზღუდვებს, ურიგო არ იქნება — მიაგდებენ ხოლმე იმხელა მანქანებს შუა გზაზე და მიდიიი, სულ ფეხებზე ჰკიდიათ, გზა თუ გადაიკეტება. არა, საქმეს კი აკეთებენ, ფულს შოულობენ თავისთვისაც და კომპანიისთვისაც, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვაახ, კაცო, სახალხო დამცველიც რო რაღაცის შეზღუდვას, მით უმეტეს — ინფორმაციის წყაროების შეზღუდვას მოითხოვს, აბა, რაღა გვიშველის?!



საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, რომელსაც დღემდე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვასთან დაკავშირებით გავრცელებულ აუდიოჩანაწერებზე, მედიის წინააღმდეგ და ჩანაწერების გამავრცელებელი საიტების ბლოკირების ინიციატივით გამოდის:

– გარკვეული კადრების შეზღუდვა უნდა მოხდეს, რომ არ გავრცელდეს. წამების კადრებს ვგულისხმობ. თუნდაც ბლოკირება გარკვეული საიტების. ეს იმისთვის, რომ ავიცილოთ გარკვეული სახის მასალების არამართლზომიერად გამოყენება და ტირაჟირება. აუცილებელია ეფექტური გამოძიების ჩატარება. სამწუხაროდ, დღემდე პირველ კადრებთან დაკავშირებით გამოძიების რაიმე კონკრეტული შედეგი არ არსებობს და ეს, სამწუხაროდ, ხელს უწყობს იმას, რომ რეალურად გრძელდება პროცესი. უნდა მოხდეს შემოწმება, არის თუ არა ავთენტური ეს ჩანაწერები. ასევე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, შემოწმდეს, როგორ მოხდა ამ ჩანაწერების გავრცელება. (tb24.ge)

**რა ვიცი, კაცო, გვიკვირს და თან არც გვიკვირს ასეთი მოთხოვნა მით უმეტეს სახალხო დამცველისგან.**

**გვიკვირს იმიტომ, რომ დიახ, ეს ყველაფერი ხალხმა უნდა იცოდეს! აქ იტყვის ვინმე — ბავშვებიც რო ნახავენ, მერეო?! სამწუხაროდ, რას ნახულობენ ინტერნეტით ჩვენი შვილები, საკმაოდ რთული გასაკონტროლებელია. იმის თქმა გვინდა, რომ აგრესიასა და გარყვნილებას ინტერნეტში ისინი ისედაც მრავლად აწყდებიან, ფაქტობრივად, ფეხის ყოველ ნაბიჯზე. უბრალოდ, მშობელმა უნდა იყოჩაღოს და დაიცვას შვილი ამ საზიზღრობებისგან, მათ შორის სააკაშვილის სადისტი მონების ამსახველ კადრებსაც ვგულისხმობთ. აი, უფროსებმა კი ვიმეორებთ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა იცოდნენ. თანაც მარტივია — ან ნახავს ჩანაწერს, ან — არა. პირადად მე 4 წამს ვუყურე, დანარჩენისთვის თვალიც არ შემივლია.**

**და არ გვიკვირს იმიტომ, რომ ყველანაირად ცდილობს „ქართული ოცნება" „ნაცების" კი არა, საკუთარი დანაშაული დაფაროს — დანაშაული კი ის არის, რომ ის მოძალადე არაკაცები არ დასაჯეს თავის დროზე და სათანადოდ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ოოხ, გამყარდაო




საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ნოემბრისთვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის თანახმადაც, 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3967ლარი იქნება.

აქამდე მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით, 1 აშშ დოლარი 2,3993 ლარს შეადგენდა. ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 0,0026-ით გამყარდა.

სებ-ის კურსით, 1 ევროს შეძენა 2,6179 ლარად იქნება შესაძლებელი. აქამდე მოქმედი კურსი კი 2,6335 ლარს შეადგენდა, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში 0,0156-ით გამყარდა. (პირველი რადიო)

## „ოცნებას" რომ შნო ჰქონდეს, „მოეთრიე აქ, შენი ასე და ისე" უნდა მოეწყო თქვენთვის!




– სულ ახლახან „ფეისბუკიდან" გავიგე „მოდულის" ახალი სახელი – „შემოიხედე გენაცვალე", – ამის შესახებ ე.წ. მოდულის შენობასთან დაკითხვაზე შესვლამდე „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გივი თარგამაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები ღია ინტერვიუშიც ამბობდნენ, რომ „რუსთავი 2"-ს ფიზიკურად დაიცავდნენ.

– ასეთ თემებზე ლაპარაკი სულ იყო, რომ გადახედოთ ჩვენს ღია ინტერვიუებს, ვამბობდით, რომ ფიზიკურად ვართ მზად, დავიცვათ „რუსთავი 2". ამიტომ აქ პრობლემას ვერ ვხედავ. უფრო ვწუხვარ იმაზე, რომ მაშინ, როცა ქვეყანაში არის სწორედ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ფუნქციონირების მიმართულებით უამრავი საფრთხე და ბევრად დამძიმებულია სიტუაცია, ამ დეპარტამენტის ფეხზე დამყენებელი ოფიცერი ლევან ტაბიძე ციხეში ზის. მან და ამ სამსახურმა აღმოფხვრა თავის დროზე აგენტები, ხოლო კონტრდაზვერვაში ახლა მომღერალ ქალბატონებს კითხავენ. ეს არის პრობლემა და არა ის, რას ვიტყვი და რას – არა, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისი თქმით, საქმე, რომლის ძიების ფარგლებშიც ის იკითხება, ბოდვაზე აღიძრა და ამ თემაზე სერიოზული საუბარი შეუძლებელია.

რაც შეეხება სააკაშვილთან ნუგზარ წიკლაურისა და მისი საუბრის ფარულ ჩანაწერს, გივი თარგამაძე აცხადებს, რომ სპეცრაზმელების ნაწილში, შესაძლოა, გივი სიხარულიძეზე იყოს ლაპარაკი და არა მასზე. (ინტერპრესნიუსი)



## უკრაინულმა მედიამ დათა ახალაიას სიფათი რომ არ იცოდეს, გასაკვირია? აი, გვკლავს „ნაცების" არგუმენტები, რა!

უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ფარულ, ახალ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით, რომელშიც ამჯერად კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია და ადვოკატი რომეო საჯაია მხარდამჭერთა მობილიზაციაზე საუბრობენ, საჯაია პირველ კომენტარს აკეთებს.

ადვოკატი ახალაიასთან საუბარს ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ჩანაწერები დამონტაჟებულია.

მისივე თქმით, ჩანაწერი ფაბრიკაცია და დამონტაჟებული რომ არის, ეს დასტურდება იმით, რომ დათა ახალაიას სურათის ნაცვლად ჩანაწერს ბაჩო ახალაიას სურათი ადევს.

– ამ ჩანაწერების ნაწილი არის ფაბრიკაცია და დამონტაჟებული. ფაბრიკაცია და დამონტაჟებული რომ არის და ნაჩქარევად გაკეთებული, ამას ადასტურებს ის, რომ იძახიან, რომ მე ვესაუბრებოდი დათა ახალაიას და ასეთ დროს ბაჩო ახალაიას სურათი ადევს. რაც შეეხება ზოგადად ჩემს დამოკიდებულებას, – დიახ, მე ჩემს ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, დღესაც მოვუწოდებ, რომ ამ ქვეყანაში დავიცვათ სიტყვის თავისუფლება, – განაცხადა ადვოკატმა. (kvira.ge)

**ასეთ უტიფარ განცხადებებს რომ ვისმენთ „ნაციონალებისგან", მით უმეტეს განცხადებებს, სადაც ისინი სიტყვის თავისუფლებაზე და მის დაცვაზე ატრიალებენ ენებს, კაი გემრიელი კახური შეკურთხების სურვილი გვიჩნდება. ცემისა და გალახვის არა, აი, სწორედ შეკურთხების! ჯერ ერთი, ესენი რომ სცემო, გმირებად წარმოაჩენენ თავს და არ ღირს. არც ის ღირს, ასეთებზე გაისვაროს ადამიანმა ხელი. აი, შეგინებას რაც შეეხება, გვაქვს ამის სურვილი და რაც გინდათ, ის თქვით!**

## ბოდოკიას 11 წელი მიუსაჯეს, ვანო მერაბიშვილს — 7, სააკაშვილს — 0... აეეე, „ოცნება", შენს სამართლიან სასამართლოს „ჩევეფურჩხნეთ ყიაში"



თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსის ყოფილ მოადგილეს, ჯოკია ბოდოკიას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ მიიღო.

პროკურატურა ჯოკია ბოდოკიას დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავება. კერძოდ, გამოძიების ინფორმაციით, თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების გზით, ერთ-ერთ შპს-ს წარმომადგენელს დახმარებას ჰპირდებოდა, რის სანაცვლოდაც თანხას სთხოვდა.

გამოძიების ინფორმაციით, ჯოკია ბოდოკიამ ქრთამის სახით თანხის ნაწილი – 50 ათასი ამერიკული დოლარი აიღო. (ინტერპრესნიუსი)

**არა, თუ ადამიანი დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს, ამაში ორი აზრი არ არსებობს. უბრალოდ, ამდენ კითხვის ნიშანს რომ აჩენს სასამართლო, რომელზეც ტვინი გაგვიღუნეს — დედა ენაცვალოს, ისეთი სამართლიანია, მეტი რომ არ შეიძლებაო, რა გავაკეთოთ? რა უნდა გავაკეთოთ და ისევ ძველი აზრი რაც გვქონდა, ის უნდა გავიხსენოთ — მონა მოსამართლეები ჩვენი ქვეყნის მოურჩენელი კიბოა!!!**

## უკრაინულ მედიაში ამჯერად დათა ახალაიასა და რომეო საჯაიას ფარული ჩანაწერი გავრცელდა




უკრაინული ვებგვერდი **uarevo.in.ua** სატელეფონო საუბრის მორიგ ჩანაწერს აქვეყნებს.

ამჯერად ვებგვერდის მტკიცებით, ჩანაწერში კუდ-ის ყოფილი უფროსის, ამჟამად ძებნაში მყოფი დათა ახალაიასა და ადვოკატ რომეო საჯაიას საუბარია.

ჩანაწერის თანახმად, ახალაია და საჯაია „რუსთავი 2"-თან ადამიანების მობილიზებაზე საუბრობენ.

„ალია" გთავაზობთ საუბრის ტექსტურ ვარიანტს (სტილი დაცულია):

**დათა ახალაია:** როგორა ხარ? რა ხდება, მითხარი, აბა, შენეული ხედვა მითხარი.

**რომეო საჯაია:** ამ ყ...ბს ვეუბნები ერთი კვირაა, ვერ გაიგეს ამათმა და... რა და ესენი... რას ვეუბნებოდი და ესენი „რუსთავში" აპირებენ დღესვე გარედან...

**დათა ახალაია:** ბიჭოოო, დღესვე კი არა, ათი დღეა ვეუბნები, ესენი ხო დებილები არიან, ჩემი კარგი მ...ნ

**რომეო საჯაია:** ჰოდა, ვეუბნები შიგნით მე ამ ხალხს არ შეგიშვებენ-მეთქი და პროსტო გაგიჟებული ვარ...

**დათა ახალაია:** მაგი ჩემი ინფორმაციაა, მე დავურეკე კეზერას და ვუთხარი, მერე მაგან გააკეთა თორე...

**რომეო საჯაია:** დაჟე, იცი რა ვუთხარი? რო დაეჯერებინათ, შენი მოსაზრება არიო... მოვიტყუე, მოვიტყუე, მერიიდან არი-მეთქი..

**დათა ახალაია:** შენ მარტო ხარ მანდ ეხლა?

**რომეო საჯაია:** არა ვარ მარტო.

**დათა ახალაია:** მაშინ მერე ვილაპარაკოთ... სხვა მითხარი, კაი, კაი...

**რომეო საჯაია:** სხვა ეხლა ჩვენთან იყვნენ ერთი 200 კაცი მოსული, მოვარდნილი. ჰოდა, ესენი წავიდნენ ეხლა „რუსთავის" შენობისკენ და სადაც ესეთი ინფორმაციაა, რომ გადააცმევენ, ალბათ, ფორმებს სპეცნაზელებს, ან ვილაცეებს, კუნთიანებს, სამოქალაქოს გრაჟდანებს და იქ მივლენ, რო ვითომ ხალხი მივიდა რა, რო ვითომ პოლიცია არ შევიდეს იმიტო. დღეს მე უკვე დავურეკე, აკომ მითხრა, რომ იქიდან წამოვიდნენო და ჩვენი ბიჭები წამოვლენ, რასაც მოასწრებენ, რაც არიან... შიგნით ეზოში...

**დათა ახალაია:** რამდენი მოგყავთ?

**რომეო საჯაია:** ეხლა ჩვენ რაც გამზადებული გვყავდა, ამაღამ რაც არის, 40-მდეა, 50 კაცი მაინც არი...

**დათა ახალაია:** არა, 300-კაციანი სია მივიღე და იმათ არ წამოიყვანთ?

**რომეო საჯაია:** აა, ის კი, ის კი კაცო, მაგრამ ამაღამვე ეხლა ის, მარა ეს მაინც მოდიან დღესვე, ორგანიზებული რაც გვყავს სასწრაფოდ. ხო და თენგო და ისინი გაიღვიძებენ როდის და იქნებ რაღაცა...

**დათა ახალაია:** შენ სამასი კაცი მყავსო მომზადებულიო არ მითხარი?

**რომეო საჯაია:** ის 400-მდე არი მთლიანად, კაცო, ყველა ერთად.

**დათა ახალაია:** ჩვენი რამდენია?

**რომეო საჯაია:** ჩვენი იქნება 100 ზუსტი, ჩვენი ოფისი, ოფისი. მაგრამ ეხლა ამაღამ რასაც წამოვიყვანთ, ეს არის, რაც გუშინ ვუთხარი, რომ ამდენი კაცი გვინდაო.

**დათა ახალაია:** რამდენი მოყავთ?

**რომეო საჯაია:** 50 კაცი წამოვა დღეს.

**დათა ახალაია:** ხოო? კაია...

**რომეო საჯაია:** სია აქვს იკას, ნუგოს ხალხი დაემატება ახლა და ისინი წამოვლენ. იმიტომ რომ ხობში ვაფშე ნათქვამი არაა, ხობის გარეშეა ეს ყველაფერი.

**დათა ახალაია:** ხობს რატომ არ უთხარით?

**რომეო საჯაია:** ხობში წასასვლელი იყვნენ და ეს სამი დღე, ჯერ მოიცადე ჯერ მოიცადე, ვუთხარი და მერე მალაპარაკებენ ამაზე.

**დათა ახალაია:** დავურეკოთ ჭაკუას, ვეტყვი მაგასაც, რო მოამზადოს მაგანაც, კაცო.

**რომეო საჯაია:** დავურეკოთ მაგრამ ესენი არიან, ღამეებს რო გაათენებენ ეგეთი ტიპები, გამიგე? ორი კვირა რო იყოს, აქ იქნებიან. ხოდა, დამრჩენებისთვის იკა უნდა წასულიყო ხობში, დათო ახალაიას ძმასთან, იმას ყავს კიდო და ერთი 15-20 კაცს მაინც წამოიყვანდა დამრჩენს.

**დათა ახალაია:** საჭმელი რამე პასპორტი რო მოუნდეთ, იქნება? ვის დაუკავშირდნენ?

**რომეო საჯაია:** აკომ მითხრა, არ არიო პრობლემა, აქ მივცემო, ჩამოვიდნენო და...

**დათა ახალაია:** ჭაკუა იძახდა, რო მეო 2 მარშუტკასო ან 1 მარშუტკასო, როცა მეტყვითო, 1 საათში მოვიყვანო.

**რომეო საჯაია:** ტყუილია ისა და ვიცი მე ვთქვი პროცესისთვის ვერ გაუკეთებია.

**დათა ახალაია:** ხოდა დავავალოთ, თუ გაქვთ სურვილი-თქო და ვნახავთ, თუ არადა ყველას ჩამოვწერთ.

**რომეო საჯაია:** კი, ძმაო. კაი, მაშინ დავაკავშირებ ეხლა ერთმანეთს, დათო ახალაიას ნიკა დაუკავშირდება და...

**დათა ახალაია:** კაი მეორე თემა. ბიჭო ერთი კვირაა ვეხვეწები მაგათ, რო ხალხი მობილიზებული გყავდეთ, ვეუბნები ყველას და...

**რომეო საჯაია:** არადა ჯერ არა, ჯერ არა, აბა როდის, განაჩენს გამოგიცხადებენ და მერე რა აზრი აქ. ვეუბნები არა ყავთ ბიჭო, სიები გაკეთებული აქვთ ისე კი, სამეგრელოდან აქვთ ხუთას რაღაც კაცის მარა (საუბარს მეგრულად აგრძელებენ)...

**დათა ახალაია:** ხალხი არ ყავთ, მთელი ერთი კვირაა, ბიჭო, ვიხვეწები...

**რომეო საჯაია:** არადა, ემზადებიან ვითომ... ჯერ არა, აბა როდის? 400 კაცი, როგორც მინიმუმ გვეყოლებაო, ვინც ღამეს გაათევს და დარჩება. რომ ვუყურებ, არ მუშაობენ, გული მაქვს გამსკდარი. აქ 500 კაცი გროვდება, შიგნით...

**დათა ახალაია:** რა ხალხია ბიჭო ესენი.

**რომეო საჯაია:** ასე თქვეს, დამგეგმავი არავინ არ გვყავსო. აკომ თქვა, დამგეგმავი არ გვყავსო არავინ. „ზონა" ბევრნი არიან ახლა ბავშვები, ცოტა ისე კაი ბიჭები არიან და ესენი იქნებიან და. ესენი როგორ აკეთებენ იცი? ხვალ აპირებდნენ ესენი ქალაქიდან, 200 კაცი იქნებოდა, ქალაქის პარტიის, კახეთი 100 და ნუ 500 კაცი იქნებოდა ასე.

**დათა ახალაია:** 500 კაცი რას ეყოფა, ბიჭო, 1000 კაცი რო მოვა...

**რომეო საჯაია:** ხოო, ხოო, მარა ეხლა დაემატება, ესენი დანარჩენებს დაუძახებენ და სიები აქვთ, ყველგან აქვთ სიები გაკეთებული, ვის რამდენი შეუძლია. ხოდა, პახოდუ ხვალ გამოაცხადებენ მობილიზაციას, დიდ აქციას დააანონსებენ და..

**დათა ახალაია:** ხვალ უნდა ყოფილიყო ეგ აქცია, ხვალ... ვინ გეგმავს, ბიჭო... აიღე შენ დაგეგმე...

**რომეო საჯაია:** გაიკრიფენ ისინიც, ეხლა წავიდნენ რა მოხდა, ამდენი კაცი რო არ დასწრებოდა.

**დათა ახალაია:** კაი, კაი, თუ რამეს გაიგებ, მითხარი. მერე სპეცრაზმს დააყენებენ იქ და არ შეგიშვებთ შიგნით რა ამის დედა მ...ან...

**რომეო საჯაია:** კი, კაი, კაი...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შაირსიტყვითა არსენმა მიშას წარსული ახსენა — თუ ასეთი მაგარი იყავი, სამშობლოში რატომ ვერ ჩადიხარო?!



უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენ იაცენიუკმა და ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა მედიაკინკლაობა გამართეს.

როგორც ამერიკულ გამოცემა „**Politico**"-ს ჟურნალისტი წერს, სააკაშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებებსა და კრიტიკას პრემიერმა იაცენიუკმა სარკასტული პასუხი გასცა და ჟურნალისტის კითხვას კითხვითვე უპასუხა.

ჟურნალისტის თქმით, სააკაშვილის მხრიდან წამოსული კრიტიკის შესახებ დასმულმა შეკითხვამ უკრაინის პრემიერის სიმშვიდე დაარღვია.

– მიშა თავის ამპლუაშია. თუ ის ამდენად წარმატებული იყო საქართველოში, ამიხსენით, რატომ ვერ ბრუნდება? და რა სჭირს სასამართლო სისტემის რეფორმას? – აღნიშნა უკრაინის პრემიერმა.

ცნობისთვის, ოდესის გუბერნატორმა უკრაინის პრემიერი ოლიგარქების, კერძოდ, იგორ კოლომოისკის ინტერესების დაცვაში დაადანაშაულა. სააკაშვილის თქმით, უკრაინის მთავრობა ოლიგარქების ინტერესებით კონტროლდება, ხოლო თვითონ პრემიერი იაცენიუკი რეგულარულად კოლომოისკისა და რინატ ახმეტოვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებდა. **(pia.ge)**

## აჰა, გაიხარონ „ნაცებმა" — უკრაინული „ვიკილიკსი" გაითიშა




რა გახდა ვებგვერდის დაბლოკვის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ უკრაინული ვებგვერდი „ვიკილიკსი" მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას სტამბულის ათათურქის აეროპორტში გამართული შეხვედრის შესახებ წერდა, სადაც საუბარი, სავარაუდოდ, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას შეეხებოდა. აღნიშნულ გვერდზე გამოქვეყნდა, ასევე, რამდენიმე ჩანაწერი და სტენოგრამა, რომელშიც კვლავ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფიგურირებდა.

„ვიკილიკსს" უკავშირდება საქართველოში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ჩანაწერების გავრცელებაც, რომელიც სამეგრელოს სამალავებში, კასრებში იქნა აღმოჩენილი. **(pia.ge)**

## ტრაგედია გურჯაანში — პნევმატური იარაღიდან გასროლას 9 წლის ბავშვი ემსხვერპლა




ტრაგედია გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში მოხდა – პნევმატური იარაღიდან გასროლას 9 წლის ბავშვი ემსხვერპლა. ადგილობრივების ინფორმაციით, თოფი გარდაცვლილის კლასელს შემთხვევით გაუვარდა და ჭრილობა მუცლის არეში მიაყენა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბავშვის გადარჩენა ვერ მოასწრო, ბიჭი ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. თუმცა, 9 წლის ბავშვი სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. (პირველი რადიო)

## ვისაც სესხები გაქვთ აღებული, ეს ამბავი ძალიან არ მოგეწონებათ



– რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხი 8587 ადამიანს გაუძვირდება, – ამის შესახებ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები" ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს 0,5 პროცენტული პუნქტით ზრდის. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7,5 პროცენტს შეადგენს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა გამოიწვევს იმ სესხებზე პროცენტის ზრდას, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხი 5826 ადამიანს, ხოლო ბიზნესსესხი 2761 იურიდიულ პირს აქვს. სულ სესხის პროცენტი 8587 ადამიანს გაუძვირდება.

2015 წლის 1-ელ სექტემბერთან შედარებით რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხის რაოდენობა 136-ით შემცირდა, ბიზნესსესხის რაოდენობა კი 179-ით გაიზარდა. ჯამში, იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხი ჰქონდა, 2015 წლის 1-ელ სექტემბერთან შედარებით, 43-ით არის გაზრდილი.

– მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეფუძნება მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს საბაზრო განაკვეთებისთვის. რეფინანსირების განაკვეთის ზრდის შემდეგ შემცირდება მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტა, რაც გამოიწვევს ეკონომიკის დაკრედიტებისა და ფასების საერთო დონის შემცირებას. ეს კი ხელს შეუწყობს ლარის გაცვლითი კურსის გამყარებას. თუმცა მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის შემცირება ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება. იმისთვის, რომ ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებული ნეგატიური მოლოდინები ინფლაციურ პროცესში არ გადაიზარდოს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილების დინამიკა დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# ხალხი იწამლება, „ოცნება“, უხარისხო და შხამიანი პროდუქციით, ესეც სამართლიანობის აღდგენა ხომ არ არის, გაანძრიეთ ერთი ადგილი!




## რა უთხრეს „ალიას“ ჰიპერმარკეტ „დომინოში“ მომხმარებლის მიერ აღმოჩენილი ჯანმრთელობისთვის საშიში ჭურჭლის შესახებ




მარიკა არღვლიანი
551 81-55-88

„ფეისბუკზე“ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიშ ჭურჭელს ეხებოდა, ძალიან დიდი გამოხმაურება და შეშფოთება მოჰყვა. თავდაპირველად სააგენტოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ „ფეისბუკ“-მომხმარებელ ნინო სახვაძის პოსტი სრულად არ გაავრცელა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნინო სახვაძეს ეწერა, რომ ჭურჭელი ჰიპერმარკეტ „დომინოში“ ნახა, საინფორმაციო სააგენტოები „დომინოს“ ხსენებას მოერიდნენ, რაც, სიმართლე გითხრათ, არ გაგვკვირვებია, თუმცა მოგვიანებით, როცა თავად ჰიპერმარკეტი გამოეხმაურა ამ ფაქტს, ტელევიზიებს კომენტარიც მისცა, „დომინო“ არც აქ უხსენებია არავის!

**თუმცა თავიდან დავიწყებ და „ფეისბუკში“ გავრცელებულ ინფორმაციას შეგახსენებთ. აი, რას წერდა ნინო სახვაძე:**

**— SOS!!! ეს მაღაზია „დომინოში“ გადავიღე, გაგიკვირდებათ, რა იყო აქ გადასაღები ან დასაპოსტი, ვინც ინგლისური იცით, აუცილებლად წაიკითხეთ და მერე თქვენ გადაწყვიტეთ, უნდა შეიძინოთ ეს ნივთი თუ არა, სამზარეულოს აქსესუარებში უდევთ, მეც ვიფიქრე, 3-4 ცალს ვიყიდი სასალათედ-მეთქი, აი, როდესაც წავიკითხე მისი შემადგენლობა სასწრაფოდ სანიტარიული სითხე წავისვი, ბევრს აღარ გავაგრძელებ და გადაგითარგმნით, ვინც ვერ მიხვდით:**

**ეს შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც იწვევს სწრაფ სიმსივნეს და ხელის მოკიდების შემდეგ ხელები აუცილებლად დაიბანეთ. ეს არის ძირითადი შინაარსი, სამწუხაროა, როდესაც მსგავსი ნაგავი გასაყიდად დევს, თან სამზარეულოს აქსესუარებში. ამ იარლიყის აცლის უფლება არ აქვთ, ვინც წაიკითხავს, არ გაეკარება, ვინც არა, კისერიც გიტეხიათო, რააა.**

ამ სტატუსის წაკითხვის შემდეგ, „ალიამ“ გადაწყვიტა, თბილისში მდებარე ყველა მსგავსი სავაჭრო ობიექტი გადაემოწმებინა.

მაგალითად, „დანიურ სახლში“ დაახლოებით ანალოგიური გამაფრთხილებელი წარწერა იყო დატანილი ბავშვისთვის საყვარელ მაკქვინის თითქმის ყველა სათამაშოზე...

ამის შემდეგ მივედი „დომინოში“, თუმცა ის მწვანე ქვაბი, რომელზეც ნინო სახვაძე „ფეისბუკში“ წერდა, ჰიპერმარკეტში აღარ დამხვდა. აღმოჩნდა, რომ „დომინომ“ ის გაყიდვებიდან ამოიღო და ექსპერტიზაზე ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გაგზავნა.

მეორე დღეს „დომინოში“ „ალიას“ საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი მიხეილ სახვაძეც მივიდა – „სიტუაციაში უკეთ გასარკვევად გვირჩევნია, ადგილზე მოხვიდეთო“, – გვითხრეს „დომინოში“ და რადგან სავაჭრო ცენტრი მის სახლთან ახლოს მდებარეობს, მეორედ მე აღარ მაწვალა.

**„ალიას“ „დომინოს“ მარკეტინგის დირექტორი ირაკლი საამიშვილი ესაუბრება:**

– მოდით, სანამ თქვენ მკითხავთ რამეს, მე მინდა, გკითხოთ – ჩვეულებრივი კერამიკული ჭურჭლის გამოყენება სახიფათოა ჯანმრთელობისთვის?

**— მასე მე რაც გამიგია, ყველაფერი სახიფათოა, ჰაერის შესუნთქვაც კი, მაგრამ რას ვიზამთ, ჰაერს ალტერნატივა არ აქვს. ჯანმრთელობისთვის საშიშ ჯამჭურჭელზე კი ამას ვერ ვიტყვით.**

– ახლავე აგიხსნით – აბსოლუტურად ყველა კერამიკულ ჭურჭელზე, რაც კი კალიფორნიის შტატში შედის, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ კალიფორნიის შტატში, აქვს დატანილი იდენტური წარწერა. აბსოლუტურად ყველა ბიჟუტერიას, რაც კი კალიფორნიის შტატში შედის, დატანილი აქვს აღნიშნული იარლიყი.

**— თავადაც გეცოდინებათ, რომ ამერიკაში ძალიან ბევრი უცნაური კანონია და ამ უცნაურ კანონებს იღებენ იმ შემთხვევაში, როცა პრეცედენტი არსებობს.**

– დიახ, ამ კანონში მსგავსი პრეცედენტის შესახებაც წერია, რომ 100 ათასი ადამიანიდან მხოლოდ 1 ადამიანს შეიძლება მიაყენოს კანონში შეტანილი ნივთიერებების სიიდან რომელიმემ ზიანი, თუ ეს ადამიანი ამ ნივთიერებების შემცველ პროდუქტს მოიხმარს 70 წელზე მეტი. ჩვენ რა კითხვებიც გვიჩნდება, მათ ჩვენამდე გაუჩნდათ, ძალიან ჭკვიანი და მაგარი ხალხია და განხილული აქვთ ამ კანონში ყველაფერი. არის ჩამოთვლილი ის საშიში ნივთიერებებიც, რომელსაც ჩვენ, ასე თუ ისე, გავიგებთ. მაგალითად: ხის მტვერი, შებოლილი თევზი, ტყვია... ეს მცირე ჩამონათვალია და ყოველწლიურად ხდება ამ სიის განახლება.

**— რატომ ხდება ამ სიის ხშირი განახლება?**

– ყოველწლიურად მეცნიერების დასკვნები იცვლება. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ რომელიღაც ნივთიერება არაა საშიში და აკლებს ამ სიას, რომელიღაც მეცნიერი კი მიიჩნევს, რომ სხვა ნივთიერებაა საშიში და შეაქვს ამ სიაში. მთლიანად დაახლოებით რვაასი დასახელების ნივთიერებაა კანონში.

**— რატომაა, ამერიკელების აზრით, კერამიკული ნაწარმი საშიში?**

– ვინაიდან კერამიკა ნიადაგიდან მოპოვებული მასალაა, ხოლო ნიადაგი შეიცავს ტყვიას, გამოდის, რომ ამ კერამიკაშიც შესულია ტყვია რაღაც დოზით, სწორედ ამიტომ მოხდა ამ კერამიკულ ნივთზე ასეთი წარწერის დატანა.

**— ეს პროდუქცია კალიფორნიის შტატშიც ხომ იყიდება ჩვეულებრივად, მაგრამ დატანებული აქვს მსგავსი წარწერა. იცოდით თქვენ, რაზე გვაფრთხილებს წარწერა?**

– ჩვენ ამ ეტიკეტებზე რაც ეწერა, ვიცოდით, მაგრამ არ აგვიძვრია. რატომ უნდა მოგვეხსნა, როცა არაფერი ცუდი არ იყო მანდ?! კალიფორნიის შტატში ყველა კერამიკულ ნაწარმსა და ბიჟუტერიაზე დატანილია მსგავსი შინაარსის წარწერები და ისეა გაყიდვაში. ამას, უბრალოდ, კანონი მოითხოვს, მაგრამ გაყიდვით იქაც ჩვეულებრივად იყიდება.

**— მაშინ გაყიდვებიდან რატომ ამოიღეთ?**

– იმიტომ, რომ ხალხში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და გადავაგზავნეთ ექსპერტიზაზე ევროპაში, რაზეც პასუხი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი და ამ დასკვნას საზოგადოებას აუცილებლად გავაცნობთ.

**როგორი იქნება დასკვნა, მართლა ძალიან გვაინტერესებს და დაველოდებით ევროპელებს. მანამდე კი „ალია“ სურსათის ეროვნული სააგენტოს მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელს მადონა კოიძეს ესაუბრა:**

– ერთადერთი სფერო, რომელიც კონტროლდება, არის სოფლის მეურნეობა, დანარჩენ შემთხვევაში, სამწუხაროდ, არ არსებობს კონტროლის არანაირი მექანიზმი, მომხმარებელი დაუცველია და თანაც საკმაოდ საშიში რისკ-ფაქტორებისგან. როდესაც საუბარია საყოფაცხოვრებო მოხმარების ნაწარმზე, მით უმეტეს, ჭურჭელზე, ასევე, ბავშვების სათამაშოებზე, არავინ იცის, რას შეიცავს პროდუქცია. ერთ მაგალითს გეტყვით – ამ რამდენიმე დღის წინ სკოლის მოსწავლის მშობელმა მომაწოდა წიგნის ჩასასმელი ყდა, რომელსაც აქვს საშინელი სუნი.

**— ძალიან ბევრი სათამაშოც არის, რომელიც, პირდაპირ გეტყვით, ყარს ხოლმე.**

– დიახ, სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. არსებობს ასეთი ნივთიერება – მელანინი, რომელსაც შეიცავს საღებავები და რომელიც ადამიანისთვის ძალიან საშიშია. კონტროლი კი არც ამ მიმართულებით ხორციელდება.

**— და რატომ, ქალბატონო მადონა, არ აქვს სახელმწიფოს ამის რესურსი, ინტერესებში არ შედის თუ რაშია საქმე?**

– კონტროლი მოიშალა 2005 წლიდან და...

**— და ხომ შეუძლია ახლა ამ ხელისუფლებას, დაიწყოს ისევ აღდგენაზე მუშაობა? მესმის, რომ სააკაშვილის დროს ბევრი რამ განადგურდა, მაგრამ ახლა რა უშლის ხელისუფლებას, რომ სიტუაცია გამოასწოროს?!**

**— ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, სადაც არ არსებობს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, ამით ყველაფერი ნათქვამია. თანაც იცით, ამ კანონის მთავარი არსი რა არის? ის, რომ კომპანიამ მომხმარებელი არ უნდა მოატყუოს! სწორედ ბიზნესსექტორი ეწინააღმდეგება ამ კანონის მიღებას.**

**— ძალიან რთული დასაჯერებელია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს ნება და ბიზნესსექტორის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებდეს საქმის გაკეთებას! გამოსავალს რაში ხედავთ, მაინც და მაინც, ვინმე უნდა მოკვდეს, რომ კანონი და კონტროლის მექანიზმი მივიღოთ?**

– ფაქტია, რომ სიტუაცია არასახარბიელოა და, ამ მხრივ, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

**„ალია“ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან დაკავშირებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ!..**

# საექსპერტო კონფერენცია ლუგარის ლაბორატორიის შესახებ



გლობალური კვლევების ცენტრი სრულიად განსხვავებულ თემატიკაზე მართავს კონფერენციებსა და სემინარებს. ამჯერად თემად ლუგარის სახელობის ლაბორატორია შეირჩა.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზში ბიოლოგებმა, მედიკოსებმა, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელებმა და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებმა საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს.

კონფერენცია „ლუგარის ლაბორატორია – საექსპერტო ხედვა“ თვე-ნახევრით ადრე დაიგეგმა, თუმცა წინა დღეს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა მორიგი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ დსთ-ს ქვეყნებში ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიები მოქმედებს, რომლებიც ვაშინგტონიდან იმართებიან. საქართველო 2008 წლიდან აღარ არის დსთ-ს წევრი, მაგრამ უნდობლობა და ეჭვები თანაბრად ვრცელდება საქართველოზეც თბილისის მახლობლად 2011 წელს გახსნილი ლაბორატორიის გამო.

რამდენიმე თვის წინ საქართველოში რუსი ჟურნალისტების მედიატური ჩატარდა და მათ საშუალება ჰქონდათ, დეტალურად შეესწავლათ, არის თუ არა ამ ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნის შესაძლებლობა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ** კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლაბორატორია გახსნილია დაინტერესებული პირებისთვის და ის მხოლოდ სამედიცინო და ბიოლოგიურ მიზნებს ემსახურება.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე **ნინო ჩხობაძის** აზრით, აუცილებელია, რომ საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიეწოდოს, რათა მსგავსი კითხვები არ გაჩნდეს.

სხდომას ესწრებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, **დავით თევზაძე**, რომელმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ფრაზა წარმოთქვა: „ვერ გავიზიარებ თქვენს ენთუზიაზმს ყველაფრის გასაჯაროებასთან დაკავშირებით“.

ექსპერტმა **ვახტანგ მაისაიამ** საკითხი თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით განიხილა და ისიც აღნიშნა, რომ ამერიკაში არსებული ამ ტიპის, მაგრამ უფრო მაღალი დონის ლაბორატორიები ორმხრივ დატვირთვას იძენს და სამოქალაქო თავდაცვასთანაცაა დაკავშირებული. საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული ლაბორატორიის შექმნა ამერიკელებმა დაავადებათა ეროვნული ცენტრის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 2002 წელს შესთავაზეს. მისი შეფასებით, ბიოლოგიურ იარაღზე საუბარს უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ის საერთო რეგიონული საფრთხეების გამწვავებას უნდა უკავშირდებოდეს.

რეპლიკებში ისიც გაისმა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ამერიკელი სენატორის სახელი ლაბორატორიას რუსების გასაღიზიანებლად განზრახ დაარქვა.

„გაერთიანებული დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, **დიმიტრი ლორთქიფანიძემ** გაიხსენა, რომ 2008 წლის ნოემბერში, როცა ამერიკელი სენატორი ლუგარი რესპუბლიკური პარტიის სენატორებთან ერთად ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა, „საქართველოსთვის ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებას განიხილავდა.

„როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ „პიარი“ იყო რესპუბლიკური პარტიისთვის და მას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა გაფორმდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც ფორმალურად დღესაც მოქმედებს. ერთადერთი, რაც პრაქტიკულად დახმარების სახით მივიღეთ, ეს ლუგარის ლაბორატორია იყო“. ეჭვების გასაფანტად მეტი სიცხადე და ინფორმირებულობაა საჭირო.

# კახა კუკავა: „ვთქვათ და გადადგა ნარმანია, მერე რა იქნება? ბიძინა ივანიშვილის ხათრით უარესს აგვარჩევინებენ“?!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



თბილისის მერიაში დიდი საკადრო წმენდა გრძელდება და საქმე ისე მიდის, რომ დავით ნარმანია, მერიის დარაჯი და მისი მდივანიღა დარჩებიან. საინტერესოა,

**რას იზამს ნარმანია, გადადგება და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდება მერობის ვადამდელი არჩევნები?**

საკრებულოს დეპუტატები ამ თემაზე უკვე აქტიურად მუშაობენ. რაც „ალიამ“ შეიტყო, ისაა, რომ

**ნარმანიას მომხრეებსაც უკვე ყელში ამოუვიდათ მერის უმოქმედობა, ლამისაა ქალაქი თავზე დაგვემხოს და ნარმანია ნირვანაშია.**

წლის ანეკდოტია ის, რასაც მერი აცხადებს, ჯერ თქვა, თვითნებურად ითხრება ქუჩებიო, მერე თქვა, კონტრაქტორი კომპანიები საქმეს თავს ვერ ართმევენო და ამის გამო მოქალაქეებს ებოდიშება. ფაქტია, რომ

**ბოდიში მოსახდელი აქვს ბიძინა ივანიშვილს, თბილისელებს რომ ასეთი უნიათო, არაფრისმაქნისი და უუნარო მერი შემოგვტენა,**

ამომრჩეველთა უდიდესი უმრავლესობა რომ შეტენას გაურბოდა და მის გამერებას აპროტესტებდა, ნარმანიას გასათრევად მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. არჩევნებში მონაწილეობაზე მოსახლეობის 60 პროცენტმა უარი განაცხადა. ფაქტობრივად, ბოიკოტის რეჟიმში მიმდინარეობდა არჩევნები, ეს კი „ქართული ოცნებისთვის“ იმის მანიშნებელი უნდა გამხდარიყო, რომ მომდევნო არჩევნებში მათ მოსახლეობის დიდი ნაწილი ხმას არ მისცემდა, თუკი მუშაობის ტემპებს არ დააჩქარებდა და არ შეცვლიდა პოლიტიკური დღის წესრიგს, მაგრამ ამის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ ძალადობრივი გზით არჩევნების ჩატარების ანონსი და

**ის, რაც 31 ოქტომბერს, საგარეჯოს რაიონში შუალედური არჩევნების დროს მოხდა, გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება არათუ ნარმანიას ჩამოაცილებს თბილისელებს, არამედ ყველა ძალადობრივი გზის გამოყენებით, სახელისუფლებო რესურსების ამოქმედებითა და ტანკების მოქოქვით გვაიძულებს, კვლავ „ქართულ ოცნებას“ დავუკანონოთ მომავალი ოთხწლიანი ხელისუფლება.**

თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა თავისივე ქმედებით დაადასტურა მომავალი არჩევნების სავარაუდო სცენარი, როცა ეს ქალბატონი ვიხილეთ საარჩევნო შტაბში გაცხოველებული ხმების დათვლის პროცესში, იმიტომ რომ თურმე სხვას არ ენდობა, საკუთარი ნათესავის თუ მოგვარის საპარლამენტო მანდატის დასაკანონებლად.

**ეს არის სამარცხვინო ფაქტი, მაგრამ ამ ხელისუფლებას რომ სირცხვილი აწუხებდეს, აქამდე ვადამდელი არჩევნები დაინიშნებოდა. არ დანიშნეს. ჰოდა 2016 წლის არჩევნებზე ბოიკოტი ამათზე ალალი იქნება.**

იურისტი თინა გვასწავლიდა, რომ არჩევნების დღეს არათუ სპეცუბნებია დასაშვები, რაც მან გააკეთა, არამედ თანამდებობის პირის გამოჩენაც კი იკრძალებაო. „ალიას“ ინფორმაციით,

**სახელისუფლებო კულუარებში თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ჩამოცილებაზეც დაიწყეს საუბარი,**

მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ეს ცვლილება ასე სწრაფად მოხდეს, ეს მაშინ განხორციელდება, როცა ამას საგარეო ვექტორი მოითხოვს.

რაც შეეხება თბილისის მერს, რომელმაც ქალაქი „ქაქს“ დაამსგავსა, ამ „ქაქის“ მერს, დავით ნარმანიას, ნამდვილად უმზადებენ საკრებულოში პოლიტიკურ ბომბს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან დეპუტატები, მათ შორის ისინიც, ვინც რბილად კიცხავდნენ ნარმანიას. ამჯერად მათი დაყოლიების პროცესი მიდის, რათა საბოლოოდ ამხედრდნენ და მერის ვადამდელი არჩევნები მოითხოვონ. ერთადერთი, რასაც ისინი ანგარიშს უწევენ, ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე წყალი არ დაასხან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რუბიკონიც გადაილახება.

„ალიასთან“ საუბარში საკრებულოს დეპუტატები, რომლებსაც ჯერჯერობით ვინაობის ღიად დაფიქსირება არ უნდათ, აცხადებენ, რომ მერიაში ბარდაგია, სამარცხვინო ვითარებაა. ნარმანიას ირგვლივ სრული არაპროფესიონალიზმია, რაზეც ნარმანია თვალს ხუჭავს, რადგან მისთვის მთავარია, თანამდებობაზე მისი თანასოფლელი, კლასელი, ან ჯგუფელი იყოს. დედაქალაქის მერი, რომელიც სკამს არის ჩაბღაუჭებული, იმაშიც იმართლებს თავს, რომ მერიის სამსახურის უფროსებს კორუფციასა და სხვა მაქინაციებში აქვთ ბრალი წაყენებული და ჩვენ ვნახეთ, რომ თბილისის მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი ჯოკია ბოდოკია გუშინ სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მოსამართლემ ბოდოკიას 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ჯოკია ბოდოკიას ბრალად ედება დიდი ოდენობით ქრთამის აღება. საუბარია 180 ათას ლარზე. აქედან, გამოძიების მტკიცებით, ნაწილი ბრალდებულს უკვე აღებული ჰქონდა. ნარმანია რომ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი იყოს, ამ ფაქტების შემდეგ თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. აღარაფერს ვამბობთ დედაქალაქში არსებულ გზებზე, კოშმარულ საცობებზე, ურბანულ ვანდალიზმზე. ქალაქის მერი, რომელსაც საკუთარ საცხოვრებელ უბანში ამ ურბანულ ვანდალიზმს თვალს უხუჭავს, რადგან მარიონეტია და უძლურია, ვანდალიზმი შეაჩეროს, მინიმუმ, ნამუსშერჩენილი რომ იყოს, უნდა გადადგეს, მანამდე კი, ფეხდაფეხ უნდა მოიაროს მთელი ქალაქი და საკუთარი თვალით ნახოს, რა ხდება გარეუბნებში, მაგრამ

ბატონო დავით, სხვის ხელში მარიონეტად ყოფნა არ გეთაკილებათ? ან ჩვენ რას გვერჩით, ან საკუთარ თავს რატომ აწვალებთ? როგორც ახლა, ბადრიჯნისგან მერცხალი ვერ გამოვა, ასე თქვენგან ვერ გამოვა თბილისის თავკაცი. შეხედეთ, რას ჰგავს თბილისი, ავგიას თავლას დაამსგავსეთ, სადაც, ვისი ვედრო ვის ბოძზეა წამოცმული, ვეღარ გაურკვევიათ თბილისელებს.

ისე, გუშინ, რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ბუქარესტის ერთ-ერთ ბარში გაჩენილი ხანძრის და მსხვერპლის გამო გადადგა! თბილისის გადათხრილ გზებზე მომხდარი ავარიების გამო რამდენი ადამიანი გარდაიცვალა და დასახიჩრდა დაინტერესებულხართ მაინც?

იცხოვრეთ ამ თანამდებობაზე ყოფნის უკანასკნელი დღით და იქნებ, გაინძრეთ, ქუჩაში გამოხვიდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ რა ხდება ქალაქში. დიღმის რაიონში, საბურავებით რომ მონიშნავთ „იამებს“ და კაციშვილი პატრონი არ გამოჩნდება, ვინც გზას შეაკეთებს,

**აი, თქვენისთანა გამომერებულს, თბილისში კი არა, კოკში მენახირედაც არ დანიშნავენ,**

სპეციალური სანიშნი რაღა გაგიხდათ, თქვე დალოცვილებო, ნორმალურ ქვეყნებში გზის შეკეთებისას მერია აზრას აკრავს და მძღოლს ბოდიშს უხდის შეფერხებული მოძრაობისთვის.

**დემოკრატიით არა, მაგრამ, აი, პროვინციალიზმით კი გვაოცებთ ბატონო დავით...**

და იცით, რა მაინტერესებს, ბატონო დავით?

**კახი კალაძის საეჭვო დიპლომიან ცოლისძმას, გუშინ დედაქალაქის მერიაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებში რომ მოხვდა, ხელს რატომ აფარებთ? ვისაც „კრიშა“ ჰყავს და იპარავს, იმას რატომ უნდა ეპატიოს ფულის გაფლანგვა? არადა, საქმეში**

ჩახედულების თქმით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გიორგი არეშიძე გაფლანგულ ფულებს შეეწირა, შაორის ბანაკის კვების სავარაუდო კორუფციას. შაორის ბანაკის ფარგლებში მისი თანამშრომლისა და მეგობრისთვის გადარიცხულ 100 000 ლარს. აღარაფერს ვამბობ არეშიძის განათლების წარმომავლობაზე, რაც ასე ძალიან ბუნდოვანია და სამარცხვინოდ ააფრიალა არარსებული სასწავლებლის დიპლომი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. ბატონო დავით, საინტერესოა, ამ თემაზე ხმაური რომ არ ამტყდარიყო, ხალხის ფულის მოპარვას გააგრძელებდა?

**და საერთოდ, იცით, რას გეტყვით? ხალხს აქვს უფლება, მოითხოვოს თქვენი გადაყენება რეფერენდუმის გზით. ფული ჩვენია, ხმა ჩვენია და რა გამოდის, საკუთარ პრობლემებს ჩვენ ვაფინანსებთ?! ნურას უკაცრავად, თქვენი უნიათობის ყურებით არჩევნებამდე ხალხი თავს არ დაისჯის.**

4 ნოემბერს ცნობილი გახდა მეორე საკადრო ცვლილების შესახებ, რომელიც ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელს ბიძინა გიორგობიანს შეეხო. საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი ბიძინა გიორგობიანს ტყის ყასაბს უწოდებდა და მშენებლებთან გარიგებაში ადანაშაულებდა, კორპუსების აშენების ადგილზე ხეების გაჩეხის ნებართვებს იძლეოდაო. ბიძინა გიორგობიანი სააკაშვილის ხელისუფლების დროს პოლიტიკური დევნილი იყო და ის საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაბრუნდა.

საჭიროა თუ არა, დაიწყოს დედაქალაქის მერის იმპიჩმენტის პროცედურა და მერის გადაყენების საკითხს მხარი დაუჭიროს არა მარტო ოპოზიციამ, არამედ საკრებულოს სახელისუფლებო ფრთამაც, თუ მათ ელემენტარული პასუხისმგებლობის განცდა კიდევ შემორჩენიათ? და თუკი ეს გზა არარეალურია, რა გზა რჩება ხალხს და დაინიშნება თუ არა მერის ვადამდელი არჩევნები?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიასთან“ საუბრობს:**

– ვფიქრობ, ამ ეტაპზე მერის იმპიჩმენტის დაყენება სრულიად არარეალურია საკრებულოში, თუმცა პოლიტიკური პროცესები რა ტემპებითაც მიმდინარეობს, ვერ ვიტყვი, რომ 2016 წელს, არარეალური იქნება საპარლამენტოსთან ერთად მერის ვადამდელი არჩევნების ჩატარება, ამას არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება იმას, რა ხდება მერიაში, ეს არის ერთი დიდი კორუფციის ბუდე, დანაშაულებრივი დაჯგუფებაა, განსაკუთრებით ის სამსახურები, ვინც ტენდერებსა და პრივატიზაციას კურირებენ, პირდაპირ მიდის აღებმიცემობა და ამის პარალელურად ჩვენი ქალაქი კვდება, საცობები არ არის ერთი კონკრეტული პრობლემა, ამ ქალაქში ტროტუარებთან ერთად ჰაერი გაიყიდა, ყველგან კორპუსები ჩადგეს, კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა სამშენებლო ფართის ნებართვები გასცეს, ასეთი საცობები ათმილიონიან ქალაქებში არ არის, თბილისში რომ მოძრაობ, გგონია, ინდოეთში ხარ.

**— რა ინფორმაცია გაქვთ საკადრო ცვლილებებზე? როგორ დაითანხმეს კახი კალაძის ცოლისძმა, პოსტიდან გადამდგარიყო? ჩვენ გვახსოვს არეშიძის გაჯიუტებული პასუხი კალაძის განცხადებაზე, არსადაც არ წავალ და ჩემს საქმეში ნურავინ ერევითო...**

– კალაძის ცოლისძმის დათანხმებას რა უნდოდა? საქმე ისაა, რომ მერიაში რამდენიმე კლანი მოქმედებს. არის ბიძინა ივანიშვილის კლანი და მის პროტეჟეა ლექვინაძე; არის ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კლანი და კახი კალაძის, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ თავისი გავლენით მესამეა; ამას მოჰყვება „რესპუბლიკელების“ კლანი და მათი კლანია ყველგან, არამარტო თბილისის მერიაში. არეშიძე იყო კალაძის კვოტა და ახლა მიმდინარეობს პროცესი, რომ კალაძის კვოტა სხვა კვოტაში გაიცვალოს. ამ ნარმანიამაც რა ქნას, არც ერთი გამგებელი და თანამდების პირი მისი დანიშნული არ არის, ყველა თანამდებობის პირი დაუნიშნეს.

**— მაგ ლოგიკით, არც ნარმანია არ არის ჩვენი არჩეული, ბიძინა ივანიშვილმა დაგვინიშნა და ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?**

– არ დაგეთანხმებით, თბილისელებმა რაც აირჩიეს, ის მიიღეს. თუკი თქვენ მანახვებთ ერთ თბილისელს, რომელიც იტყვის, ბიძინა ივანიშვილის ხათრით ავირჩიე ნარმანიაო, მას ხმა არ აქვს ამოსაღები, ე.ი. ის არის ბნელი ადამიანი, მანქურთი. როგორ უნდა თქვა, რომ ბიძინას ხათრით აირჩიე, ბნელი ხარ და შენი აზრი არ გქონდა? ახლა ნუღარ გამოთქვამენ პრეტენზიებს.

**— თქვენ თვითონ აცხადებთ, რომ მერია კორუფციის ჭაობია, პასუხისმგებელი კი არის მერი, არ უნდა გადადგეს?**

– ნარმანიას გადაყენება შეიძლება საკრებულოს დეპუტატების ორი მესამედის ხმებით, ეს რეალობა დღეს არ დგას, დღეს საკრებულოს დეპუტატები რომ მსჯელობენ მერის იმპიჩმენტზე, ეს მათ სჭირდებათ პოლიტიკური ქულებისთვის და პიარისთვის, მაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, იმპიჩმენტისთვის ხმებს ვერ შეაგროვებენ. ვთქვათ და გადადგა ნარმანია, მერე რა იქნება? ბიძინა ივანიშვილის ხათრით უარესს აგვარჩევინებენ. ასე რომ, მე ვერ ვხედავ ნარმანიაში პრობლემას, სანამ ბიძინა ივანიშვილ იქნება ამ ქვეყნის ფორმალური მმართველი, მანამდე იქნებიან პოსტებზე უსუსური ნარმანია და უსუფაშვილი, რომლებიც გადაწყვეტილებას საკუთარი ინიციატივით ვერ იღებენ. ნარმანია ძალიან პატიოსანი და განათლებულია, მაგრამ ის არ არის მებრძოლი მაფიოზა კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ და არ არის პრინციპული, რეალურად თბილისის მერი ნარმანია არ არის, ის მარიონეტია ბიძინა ივანიშვილის ხელში! ამიტომაც უნდა მოხდეს ივანიშვილის ხელისუფლების დემონტაჟი.



**„რაც შეეხება იმას, რა ხდება მერიაში, ეს არის ერთი დიდი კორუფციის ბუდე, დანაშაულებრივი დაჯგუფებაა, განსაკუთრებით ის სამსახურები, ვინც ტენდერებსა და პრივატიზაციას კურირებენ, პირდაპირ მიდის აღებმიცემობა და ამის პარალელურად ჩვენი ქალაქი კვდება, საცობები არ არის ერთი კონკრეტული პრობლემა, ამ ქალაქში ტროტუარებთან ერთად ჰაერი გაიყიდა, ყველგან კორპუსები ჩადგეს, კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა სამშენებლო ფართის ნებართვები გასცეს“**

## ყველა სკანდალი, რომელიც კალაძის ცოლისძმას თანამდებობამ მოუტანა — გიორგი არეშიძის პროფესიული და პირადი



თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა – დედაქალაქის მერ დავით ნარმანიას გადაწყვეტილებით, თანამდებობებს ტოვებენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი არეშიძე და ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი ბიძინა გიორგობიანი.

გიორგი არეშიძის თანამდებობაზე დანიშვნას თავიდანვე სკანდალი მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობდა, რომ მისი დანიშვნით „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ნეპოტიზმი გააძლიერა, ვინაიდან არეშიძე ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის ცოლისძმაა.

განთავისუფლებულ არეშიძეს დედაქალაქის მერი დადებითად მოიხსენიებს. ნარმანია ამბობს, რომ გიორგი არეშიძემ ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიურად იმუშავა და მას როგორც მერიაში მუშაობისას, ასევე, მერის არჩევნების წინა პერიოდში 24-საათიან რეჟიმში გვერდით ედგა.

როგორც ცნობილი გახდა, გიორგი არეშიძემ თანამდებობა თავად დატოვა. ჟურნალისტებთან საუბრისას ნარმანიამ თქვა, რომ არეშიძის სამომავლო გეგმები კერძო სექტორს უკავშირდება.

თანამდებობაზე ყოფნისას კი არეშიძე არაერთხელ გაეხვია სკანდალში. პირველად მასზე ხმამაღლა მაშინ ალაპარაკდნენ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მისი სახით ხელისუფლებას უდიპლომო საჯარო მოხელე ჰყავდა.

უნივერსიტეტი, რომელიც კალაძის ცოლისძმამ დაამთავრა (წმინდა ნიკოლოზის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი), ავტორიზებული არ არის და შესაბამისად, აღნიშნული უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომებს სახელმწიფო არ აღიარებს.

„დიპლომის სკანდალი“ არაფერია იმასთან, რის გამოც პასუხისგება გიორგი არეშიძეს მერიაში მუშაობის მომდევნო პერიოდში მოუწია. ოპონენტების ბრალდება ძალიან მწვავე იყო და ის საბიუჯეტო თანხების უკანონო ხარჯვას გულისხმობდა.

უფრო დეტალურად, არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ დამფუძნებელმა გიგი კუბლაშვილმა ის თანხების უკანონო ხარჯვაში დაადანაშაულა და ბანაკის მომსახურებისთვის მისი მეგობრის აიპისთვის თანხის უკანონო გადარიცხვაში დასდო ბრალი. კუბლაშვილი აცხადებდა, რომ გიორგი არეშიძის სამსახურს შეეძლო ბანაკის სამუშაოებისთვის მერიაში არსებული აიპი სამსახურის მომსახურებით ესარგებლა. მაშინ არეშიძემ განმარტა, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა და მისი ოჯახის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. დამაჯერებლობისთვის კი ბანაკის დანახარჯების დეტალური ანგარიში წარადგინა.

რაც შეეხება ნეპოტიზმის ბრალდებას, რომლის მოსმენა მას გაუთავებლად უწევდა, გიორგი არეშიძე ასე პასუხობდა:

– ნეპოტიზმს რაც შეეხება, მე ხშირად აღვნიშნავ, რომ ჩემი კარიერა დავიწყე აბსოლუტურად დამოუკიდებლად, მაშინ ოპოზიციაში ვიყავი, ბატონ დავით ნარმანიას გუნდში, „ქართულ ოცნებაში“. რაც შეეხება კახასთან კავშირს, იმის გარდა, რომ კახა ჩემი ნათესავია და ერთსა და იმავე პერიოდში მოგვიწია ერთსა და იმავე პარტიაში საქმიანობა, მეტი შეხება ჩვენ არ გვქონია. მე სადმე დავინიშნებოდი თუ არ დავინიშნებოდი, კონტაქტი ამ კუთხით კახასთან არასდროს მქონია.

რეკომენდაცია კახას არ გაუწევია. მე მერის არჩევნების დროს ბატონი ნარმანიას გუნდში ვიყავი. ჩვენ, ახალგაზრდები, საარჩევნო პრობლემებიდან გამომდინარე ვმუშაობდით. არჩევნების მეორე ტურის დამთავრების შემდეგ, ბატონმა დავითმა შემომთავაზა, მის გუნდში, მერიაში წამოვსულიყავი და მე დავთანხმდი ამ წინადადებას. წამოვედი, ვუდგავარ გვერდში და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ 2015 წლიდანვე დაიწყოს მერის საარჩევნო პროგრამის იმ ნაწილის შესრულება, რომელიც ეხება სპორტსა და განათლების მხარეს. ჩემი აქ წამოსვლა პირადად ჩემსა და მერს შორის გადაწყდა, სხვა არავინ ჩარეულა ამ გადაწყვეტილების მიღებაში...

რაც შეეხება გიორგი არეშიძის პირად ცხოვრებას, მან 2013 წელს იქორწინა. წყვილმა მოკრძალებული ცერემონია გადაიხადა და ჯვრისწერას მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები ესწრებოდნენ.

როგორც თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ აღნიშნა, გიორგი არეშიძე, რომელიც უკვე აღარ არის მერიის თანამშრომელი და შესაბამისად, აღარ შეუქმნის უხერხულობას ვიცე-პრემიერის ცოლისძმის სტატუსი, სამომავლოდ კერძო სექტორში განაგრძობს მუშაობას. (ambebi.ge)



## ეეჰ, ეგრე წასული ბევრი გვინახავს, დაბრუნებული - არავინ!



– მე მაქვს ჩემი პირადი გეგმები, რომელთა განხორციელებასაც ძალიან ბევრი დრო სჭირდება, – ამის შესახებ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ბიძინა გიორგობიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც ბიძინა გიორგობიანმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება მან პირადად მიიღო.

– გადაწყვეტილება მივიღე ბევრი მიზეზის გამო. მაქვს ჩემი პირადი გეგმები, რომელსაც სჭირდება ძალიან ბევრი დრო და მინდა, რომ ჩემი სამომავლო გეგმები იყოს ჩემზე დამოკიდებული. ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში თბილისის მერიაში ბევრი რამ გავაკეთეთ, ახლა მინდა, რომ იმ გეგმების განხორციელებას შევუდგე, რომელიც მქონდა საქართველოში დაბრუნებისას და ამისთვის მჭირდება დრო, – განაცხადა გიორგობიანმა.

ბიძინა გიორგობიანს არ დაუკონკრეტებია, რას ეხება მისი გეგმები. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ეს არის მისი პირადი გეგმები.

კითხვაზე, ხომ არ ფიქრობს, რომ მისი საქმიანობით უკმაყოფილო იყო თბილისის მერი, გიორგობიანმა აღნიშნა, რომ ასე არ ფიქრობს.

– არა, ასე არ ვფიქრობ და თვითონაც არ ფიქრობენ ასე, – განაცხადა გიორგობიანმა. (ambebi.ge)

## „უჩა ნანუაშვილის ყურადღება გადატანილია გარედან თავსმოხვეულ „საშინაო დავალებებზე“



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელების წყაროს დაბლოკვის აუცილებლობაზე საუბრობს.

აღნიშნულ ინიციატივას „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორი ზვიად ტომარაძე სოციალურ ქსელში აფასებს:

– სახალხო დამცველის ეს განცხადება ძალიან სამწუხაროა და ამავდროულად სამარცხვინოც! რადგან მისი ყურადღება გადატანილია კადრების გავრცელების გარემოებათა გამოძიებაზე და არა ამ კადრებში მონაწილე დაზარალებული პირების სასარგებლოდ!

მივმართავ საქართველოს პარლამენტს!!!

საქართველოს ორგანული კანონის „სახალხო დამცველის შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ბ პუნქტის საფუძველზე (საქართველოს სახალხო დამცველს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ: ბ) ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას) ვადაზე ადრე შეუწყვიტოს უფლებამოსილება, რადგან ის არათუ 4 თვე, არამედ 3 წელიწადია, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას! უჩა ნანუაშვილის მთელი ყურადღება გადატანილია გარედან თავსმოხვეულ „საშინაო დავალებებზე“. ნაცვლად იმისა, რომ მის ძირითად საქმიანობას ადამიანის სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების დაცვის ჭრილში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები წარმოადგენდეს, – წერს ზვიად ტომარაძე. (რეპორტიორი)

## ჯენერიკ მედიკამენტების გაჩენა ბაზარზე კონკურენციას შეუწყობს ხელს და ძვირად ღირებულ პრეპარატებს გააიაფებს

**რა არის ჯენერიკი? რა თვისებებით განსხვავდება ის ბრენდული მედიკამენტისგან? საზოგადოებაში ამ მიმართულებით კითხვები კვლავინდებურად არსებობს. ექსპერტთა განცხადებით, საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობის მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი.**

ჯენერიკ მედიკამენტების შესახებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი **ირინა ზარნაძე** გვესაუბრება:

– ჯენერიკი ჩვეულებრივი მედიკამენტია, როგორიც ბრენდი, მათ შორის განსხვავება არ არის. უბრალოდ, ჯენერიკი ძირითადად გათვალისწინებულია მასობრივი მოხმარებისთვის. ჯენერიკი ბრენდებთან შედარებით იაფია და ამით ხელმისაწვდომობა იზრდება. ამიტომაც სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ჯენერიკებს ძირითადად კლინიკები იყენებენ. თანამედროვე მსოფლიოში ასეთი პრაქტიკაა. მაგალითად, ტაივანში, როდესაც ექიმი ამბულატორიულ პაციენტს დანიშნულებას უწერს, პაციენტი ამბულატორიის კუთვნილი აფთიაქიდან იღებს სპეციალურად მისთვის დაფასოებულ ჯენერიკულ მედიკამენტს კლინიკის მარაგიდან. ეს სისტემა მოსახერხებელია, რადგან ადამიანი თვითმკურნალობით არ არის დაკავებული და იმ რაოდენობის მედიკამენტს იღებს, რა დანიშნულებაც აქვს.

საქართველოში ჯენერიკი აფთიაქებში იყიდება. მესამე ქვეყნებში ბრენდი მედიკამენტები საკმაოდ ძვირია, ხოლო ჯენერიკი იაფი და მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომია.



თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა დასახელების მედიკამენტს ჯენერიკი არ გააჩნია. მას ძირითადად მოიხმარენ ის ადამიანები, რომელთაც ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნიათ, არჩევანს მასზე აკეთებენ, თუმცა მისი ნდობის ფაქტორი არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. ყველა მედიკამენტი წარმოებისას ძალიან მკაცრ კონტროლს გადის. შესაძლებელია, მისი ფალსიფიცირება მოხდეს, თუმცა ეს იშვიათადაა და ამის გამოვლენის საშუალებებიც არსებობს“, – განაცხადა ირინა ზარნაძემ.

სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი **ეკა ადამია** აფასებს შექმნილ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ ამის ერთ-ერთი წინაპირობა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ჯენერიკ მედიკამენტების სეგმენტის გაფართოებაა.

**რა არის ჯენერიკ მედიკამენტი და რა სარგებელს მიიღებს მისგან მოსახლეობა, სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი განმარტავს:**

– ჯენერიკების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება არ უნდა გვქონდეს. ჯენერიკ მედიკამენტი ვადაგასულსა და უვარგისს არ ნიშნავს. უბრალოდ, პრეპარატს გასული აქვს ლიცენზიის ვადა და მისი წარმოების უფლება სხვა ფარმაცევტულ კომპანიასაც გააჩნია. ლიცენზიის ვადის პერიოდში მედიკამენტი ღირს ძვირი და გამოიცემა ბრენდული დასახელებით, ხოლო როდესაც ლიცენზიის ვადა გაუვა, მისი ფასი ეცემა, თუმცა ის არის იგივე ფორმულა, რაც მანამდე იყიდებოდა, უბრალოდ, არ იყიდება ბრენდული დასახელებით, – განმარტავს ეკა ადამია.

ადამია აღნიშნავს, რომ რეალურად ჯენერიკ მედიკამენტი იგივე შემადგენლობისაა, როგორიც მის ანალოგიურ ბრენდულ პრეპარატს აქვს.

– ჯენერიკ მედიკამენტების გაჩენა ბაზარზე კონკურენციას შეუწყობს ხელს და ძვირად ღირებულ პრეპარატებს გააიაფებს. თუნდაც ისეთი მედიკამენტი, როგორიც არის „სოფოსბუვირი“, ამჟამად, ის ბრენდული დასახელებით იყიდება და ძალიან ძვირია, თუმცა ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ მისი ღირებულება საგრძნობლად დაიკლებს. დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ჯენერიკი იყიდება, ამის პრაქტიკა არსებობს და ნამდვილად არ ნიშნავს ეს იმას, რომ პაციენტებზე ცდებს ატარებენ. მახსენდება სწორედ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დასაწყისი, როდესაც „სოფოსბუვირთან“ დაკავშირებით, მთელი რიგი ადამიანებისა სკეპტიკურად იყო განწყობილი, ამბობდნენ, რომ პაციენტებზე ცდების ჩატარებას გეგმავდნენ, თუმცა რეალობამ სხვა მდგომარეობა აჩვენა – რომ არა აღნიშნული პროექტი, კატასტროფის წინაშე ვიდექით.

***ანი გიორგობიანი***

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რა ქონების ჩამორთმევა, რის მოსამართლე პაპუაშვილი... აი, მოსამართლე ურთმელიძე რომ მისაჭირხვნია „ოცნებასთან“ ერთად, წყალი არ გაუვა!

**პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი, კახა ძაგანია საკონსტიტუციოს მოსამართლეებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს. ის კატეგორიულად მოითხოვს, „ნაც-აქტივისტ“ გიორგი პაპუაშვილსა და მის ხელქვეითებს ჩამოერთვათ სააკაშვილის „მეფობის“ პერიოდში 1 ლარად გადაცემული და ნაჩუქარი სახლები და მიწის ნაკვეთები. ასევე, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას ჩამოერთვას 226 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი საბურთალოზე, სანდრო ეულის ქუჩაზე, სადაც განთავსებულია 19 ძველი შენობა. ერთია განცხადება, მეორეა მისი აღსრულებისა და იძულების ბერკეტები.**

**როგორ უნდა მომხდარიყო, ან როგორ უნდა მოხდეს უსამართლო მოსამართლეებისთვის სააკაშვილის ნაჩუქარი ქონების ჩამორთმევა?**

**„ალიას“ კახა ძაგანია ესაუბრა:**

– ბოლო დღეებში ჩვენ ნათლად დავინახეთ, როგორ გეგმავდა მიხეილ სააკაშვილი „რუსთავი 2“-თან ერთად გადატრიალებას, რასაც ძალიან უხეშად დაერთო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

**— კახა, მანამდე იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, როცა ის ერთი დღით გამოაგდეს ციხიდან.**

– ჩვენ ამ თემაზე ვლაპარაკობთ გაზაფხულიდან, ხელისუფლების წევრები გაიძახიან, ამ მოსამართლეებს კანონით განსაზღვრული ვადები აქვთ და ვერ დავარღვევთო. ჩვენ ადრეც მოვუწოდეთ ხელისუფლებას, იმპიჩმენტის წესით გაეშვათ საკონსტიტუციოს მოსამართლეები, ეს უნდა დაეწყოთ პარლამენტში. თუმცა ესეც ვერ შეძლეს, უმრავლესობის ნაწილი მხარსაც კი უჭერს „ნაცმოძრაობას“. გაიხსენეთ მათი განცხადებები, არც კი მალავდნენ, რომ „ნაცმოძრაობის“ სახით სჭირდებათ ძლიერი ოპოზიციური ძალა. რაკი პარლამენტში იმპიჩმენტზე არავის უფიქრია, ახლა მოვუწოდებთ, რაც კანონით არის გასაკეთებელი, ის გააკეთონ. კერძოდ, „ნაცდაჯგუფების“ მოსამართლეებსა და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელებს ჩამოერთვათ 1 ლარად გადაცემული მილიონებად შეფასებული ქონება. ეს ადამიანები დღესაც ასრულებენ სააკაშვილის დავალებებს და ცდილობენ, სისხლი დაღვარონ.

ჩვენ ვთავაზობთ მთავრობას და პრეზიდენტს, გააუქმონ სააკაშვილის უკანონო განკარგულება, რომლის საფუძველზეც მოისყიდეს ეს ადამიანები. იცით, რომელი ქონება აჩუქა სააკაშვილმა „რუსთავი 2“-ს? ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე რაღაცას აშენებდნენ, ჩამოინგრა და მერე მიატოვეს. სამწუხაროდ, მათი ეს პროექტი მსხვერპლით დამთავრდა. მანდ არის არა მხოლოდ მიწა, არამედ უძრავი ქონებაც.

ბათუმში სააკაშვილმა ბინები ჩამოართვა იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ ლოიალურები მისი რეჟიმის მიმართ. თუ ხელისუფლება ამ ბინებს დაუბრუნებს კანონიერ მფლობელებს, ეს მორალურადაც გამართლებული იქნება. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ქონებას, აქ ერთი რამეც უნდა ვთქვა – თუ ერთ მე-…აშუალებას ამდენს აძლევ და …ასახადებსაც კი პატიობ... გახ…თ ხომ, მილიონები რომ აპატიეს, მაშინ სხვა მედიასაშუალებებმა და თუნდაც პრესამ რა დააშავა, თქვენ რატომ შეგაქვთ ბიუჯეტში ფული, იმისთვის, რომ „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებმა კარგად იცხოვრონ და გვარამიამ 90 ათასი ლარი მიიღოს ყოველთვიურად? ჩვენი მოთხოვნა არა მხოლოდ კანონიერადაა გამართული, არამედ მორალურადაც.

სხვათა შორის, დღეს მოსამართლეების სოციალური გარანტიები ბევრად აღემატება პრეზიდენტის სოციალურ გარანტიებსაც კი – ხელფასები, გადაადგილება, სხვადასხვა შეღავათები და ასე შემდეგ. საკონსტიტუციოს მოსამართლეებს იმხელა ხელფასები აქვთ, სულაც არ გაუჭირდებოდათ, ბინები თავად ეყიდათ ბათუმში, ან ექირავებინათ. ამ ადამიანებმა, ფაქტობრივად, ქრთამი აიღეს გაუბედურებული ხალხის ხარჯზე, ზოგს ბავშვებიც კი გამოუყარეს სახლებიდან. მოსამართლეები სააკაშვილთან არიან ვალში და ამიტომაც იღებენ დღეს ასეთ გადაწყვეტილებებს. საკონსტიტუციო სასამართლოში უამრავი განცხადებაა შესული, მაგრამ ყველა თაროზე აქვთ შემოყრილი, ასე უცებ არ იხილავენ. კანონი, რომელიც მათ შეაჩერეს, სააკაშვილის დროს არის მიღებული იმ მოტივით, რომ დაუყოვნებლივი აღსრულება ხელს შეუწყობდა ბანკების განვითარებას. ასე ჩაიგდეს ხელში ქონება „ნაციონალების“ მიერ დაარსებულმა ბანკებმა – „საქართველოს ბანკმა“ და „სახალხო ბანკმა“. როცა საკანონმდებლო გარანტიები სჭირდებოდათ ქონების წასართმევად, მაშინ ეს დემოკრატიული პროცესი იყო, ახლა დასჭირდათ, რომ „რუსთავი 2“ უნდა შეინარჩუნონ და თურმე არადემოკრატიული ყოფილა. ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან ბნელ და მზაკვარ ძალასთან, რომელიც უკან არ იხევს არაფერზე.

**— ჩვენ უსამართლო მოსამართლეების შესახებ ტომები გვაქვს დაწერილი, მაგრამ დღეს ისევ იგივე პრობლემებზე გვიწევს საუბარი. ფაქტია, ხელისუფლებაში პოლიტიკური ნება არ არსებობს და დამნაშავე მოსამართლეებს ხელს არავინ ჰკიდებს. ჰოდა, თუკი არ არსებობს პოლიტიკური ნება, მაშინ რის იმედი გაქვთ, თქვენი განცხადებაც ხომ წყლის ნაყვა გამოდის?**

– არჩევნებამდე იმდენად მცირე დროა დარჩენილი, თუ არაერთ გაფრთხილებას ყურად არ იღებენ, მომავალი წლის შემოდგომაზე იქით შეუბრუნდებათ.

**— ღირსებიც იქნებიან. მეეჭვება, მოსამართლეებს ეს ხელისუფლება შეეხოს და მაშინ აპირებთ რამე მოქმედებებს?**

– ჩვენი ვალდებულებაა, ხმამაღლა ვილაპარაკოთ და დამნაშავეები ვამხილოთ. დღეს რომ გამოძიება მიმდინარეობს გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე დაყრდნობით, ამ კუთხითაც ხომ დევს დოკუმენტები, თუ ვისი ქონება როგორ არის მიტაცებული?

**— საკონსტიტუციო სასამართლომ ორჯერ გამოიყენა კოზირი და ჯერჯერობით შერჩა, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, პაპუაშვილის „კანტორა“ უფრო აგრესიული გახდება. კიდევ რამე კანონის მოქმედების შეჩერებას ხომ არ აპირებენ?**

– საკონსტიტუციო სასამართლოს გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი სამართლებრივი აქტის შეჩერება. „ნაციონალებს“ კიდევ რამდენიმე ნორმა ჰქონიათ გასაჩივრებული, როგორც გავიგე, ჯერ სასწრაფოდ არ სჭირდებათ, დადგება დრო და გამოიყენებენ. პრეზიდენტთან მივიდნენ და პირდაპირ მოსთხოვეს, რომ უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია შეეწყალებინა. აქ საკონსტიტუციო სასამართლო ჯერჯერობით ვერაფერს აკეთებს და ცდილობენ, მარგველაშვილი დაიყოლიონ. სხვათა შორის, ხელისუფლება უნდა ელოდოს, რომ შეიძლება მაჟორიტარული სისტემის თაობაზე იჩივლონ და ამ მხრივ შეუქმნან პრობლემები.

**— ძალიანაც კარგი, ბევრ მათგანს ამომრჩეველი სანთლით ეძებს და ვერ უპოვია, რა საჭირო არიან?**

– მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მეც ვუჭერ მხარს, მაგრამ ესენი რა ფორმით დაარტყამენ, ეს სხვა საკითხია. „ნაციონალებს“ ყველგან ცხვირები აქვთ ჩაყოფილი და ხვალინდელზე ფიქრობენ. უმრავლესობის დეპუტატებს ივანიშვილმა გამოუცხადა, 90 პროცენტი მანდ აღარ იქნებითო და იმათაც აღარაფერი აღელვებთ. ფიქრობენ, დღეს ვართ, ხვალ დეპუტატები აღარ ვიქნებით, აუტკივარი თავი რატომ უნდა ავიტკიოთო? პრინციპში, არც ადრე იკლავდნენ თავს, მაგრამ ახლა უკვე დიდ პრობლემად გადაიქცა.

სამი წლის განმავლობაში ამ ხელისუფლებამ ვერ გახსნა სისტემური დანაშაული და ყველას ვერ მიუჩინა თავისი ადგილი. ისევ ღალატის გზას ადგანან საკონსტიტუციო სასამართლო, პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ასე შემდეგ. ვიმეორებ, ჩვენი შემდგომი ეტაპი იქნება მხილების გაძლიერება, უნდა გამოვამზეუროთ გვარებითა და სახელებით, ვის რა ქონება აქვს მიტაცებული და ვის რამდენი აჩუქეს ქრთამის სახით.

**რედაქციისგან: რა საკონსტიტუციო სასამართლო, რა ნაჩუქარი ქონება, ბატონო კახა? ხელისუფლებაში მოსული „მეოცნებეები“ არჩევნების წინ რიგრიგობით რომ გვპირდებოდნენ, აი, მოვალთ და დამნაშავე მოსამართლეები დაისჯებიანო, არ გახსოვთ? დასჯილი გახსენდებათ ვინმე? ურთმელიძე ახლა გახდა „ვარსკვლავი“ თორემ, ვინ იცნობდა, ალალმართალი „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ უზარმაზარი ჯარიმებით ლამის წელში რომ გადატეხა. მაშინ „ოცნების“ ბევრი ცნობილი სახე ვიშვიშებდა, რა ნაძირლები არიან, ეს როგორ გააკეთესო? და ვინ „გამოვარდა“ „რუსთავი 2“-ის პროცესის შემდეგ მის დასაცავად? ვინ და პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, ორი დღის წინ გადაცემა „არჩევანში“ კინაღამ კრუნჩხვებში რომ ჩავარდა, რას ამბობთ, არჩევნების წინ ხალხს ანტენებსაც უყადაღებდნენ, ახლა მოსამართლეები განთავისუფლდნენო. აბა, რა გინდა თქვა, სიბინძურეების მკეთებელი ადამიანები, ეტყობა, ყველა ხელისუფლებას სჭირდება და იცავენ კიდეც ასეთებს.**

**ბატონო კახა, თქვენი საქმის თქვენ იცით, მაგრამ ნუ იწვალებთ, ამ მოსმართლეებზე კომპრომატების ძებნაზე, მაგათ ხელს არავინ მოკიდებს, იმიტომ, რომ თუ სააკაშვილის დროს სისტემური დანაშაული არსებობდა, „ოცნების“ ხელისუფლება სისტემური უსაქმურების, უვიცების და ფეხებზემკიდიების ბუნაგად იქცა და სანამ „ნაცებივით“ მაგათაც მოუსავლეთში არ გავისტუმრებთ, ვერაფერს მიაღწევთ.**

**და საერთოდაც, რომელიმე პოლიტიკური გუნდის არჩევნებით, თუ ფოკუსნიკობით, ხელისუფლებაში მოყვანა, ქართველი ამომრჩევლებისთვის უკვე არაპრაგმატული და რაც მთავარია, მათი ჯანმრთელობისთვის ფრიად საზიანო გახდა.**






„დღეს მოსამართლეების სოციალური გარანტიები ბევრად აღემატება პრეზიდენტის სოციალურ გარანტიებსაც კი – ხელფასები, გადაადგილება, სხვადასხვა შეღავათები და ასე შემდეგ. საკონსტიტუციოს მოსამართლეებს იმხელა ხელფასები აქვთ, სულაც არ გაუჭირდებოდათ, ბინები თავად ეყიდათ ბათუმში, ან ექირავებინათ. ამ ადამიანებმა, ფაქტობრივად, ქრთამი აიღეს გაუბედურებული ხალხის ხარჯზე, ზოგს ბავშვებიც კი გამოუყარეს სახლებიდან. მოსამართლეები სააკაშვილთან არიან ვალში და ამიტომაც იღებენ დღეს ასეთ გადაწყვეტილებებს“

„თუ ერთ მედიასაშუალებას ამდენს აძლევ და გადასახადებსაც კი პატიობ... გახსოვთ ხომ, მილიონები რომ აპატიეს, მაშინ სხვა მედიასაშუალებებმა და თუნდაც პრესამ რა დააშავა, თქვენ რატომ შეგაქვთ ბიუჯეტში ფული, იმისთვის, რომ „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებმა კარგად იცხოვრონ და გვარამიამ 90 ათასი ლარი მიიღოს ყოველთვიურად იმ ნაპატიები გადასახადიდან? ჩვენი მოთხოვნა არა მხოლოდ კანონიერადაა გამართული, არამედ მორალურადაც“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „და სექსუალურმა მანიაკმა მომიკლა“ — ტყიბულში მომხდარი მკვლელობის დეტალები

2 ნოემბერს ტყიბულის მიმდებარე ტყის მასივში 1974 წელს დაბადებული მაია კირკიტაძე-ჯიხვაშვილი ახლობლებმა მოკლული იპოვეს. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული 18 წლის ბიჭი მომხდარიდან მალევე დააკავეს. ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობის მოტივი შურისძიება გახდა, – ეჭვმიტანილს მოკლული ქალის შვილი უყვარდა, თუმცა გოგონას ოჯახი მათ ურთიერთობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

– მაიას ქალიშვილი და ნუკრი ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ნუკრი მაიას არ მოსწონდა სასიძოდ, არც მაიას გოგოს უყვარდა ნუკრი, ამიტომ შური იძია და გოგონას დედა მოკლა, – გვითხრა ტყიბულის ერთ-ერთმა მკვიდრმა, თუმცა ამ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმება მოკლულის ძმა, ბუხუტი კირკიტაძე, რომლის თქმითაც, ეჭვმიტანილს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს.

ბუხუტი კირკიტაძე:

– სიყვარული არაფერ შუაშია, როგორც ახლა ირკვევა, მკვლელს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და სექსუალური მანიაკი იყო.

და სექსუალურმა მანიაკმა მომიკლა. ტყიბული ტყეში ჩაფლული ქალაქია, მის გარშემო დიდწილად წაბლის ხეებია, ახლა ჩვენთან წაბლის სეზონია. ჩემი დის სახლთან ახლოს, სულ რაღაც 200 მეტრში ტყიანი ფერდობია, მაია იქ შესულა წაბლის მოსაგროვებლად. დაახლოებით დილის ათ საათზე გავიდა სახლიდან და მალე უნდა დაბრუნებულიყო, რადგან ჩემი შუათანა დისშვილი მასწავლებელთან უნდა წასულიყო, უმცროსი, რომელიც 9 წლის არის, მაიას უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ჩემი და მთელი დღე არ დაბრუნდა. ეს ბიჭი, ეჭვმიტანილი, იქვე მეზობლად ცხოვრობს. ტყიბულის შახტაში მუშაობდა და ღამის ცვლაში ყოფილა, რომელიც 9 საათზე სრულდება. სადაც ის ცხოვრობს, იმ სახლიდან კარგად მოჩანს




ტყის ის მასივი, სადაც მაია წაბლის შესაგროვებლად იყო... ეტყობა, უკან გაჰყვა, თან მომზადებული ყოფილა, ქამარი ჰქონია და მიწაზე დახრილ ქალს უკნიდან მიჰპარვია და კისერზე მარყუჟივით გაუკეთებია, ხვდებით, ალბათ, რა საზიზღარი ჩანაფიქრიც ჰქონდა... ეს თვითონაც აღიარა, – ასე ჩავიდინეო... ეს ბიჭი ტანად პატარაა, ჩემი და ახალგაზრდა, ღონიერი ქალი იყო და წინააღმდეგობა გაუწია, საწყალს მკერდი და კისერი სულ დაკაწრული აქვს, მაგრამ ყელში ქამარწაჭერილი მოძალადესთან რას გახდებოდა...

ბათინკები ეცვა თურმე ფეხებზე და ცხედრისთვის წიხლები ურტყია, ჩემს საწყალ დას თვალები ამოგდებული აქვს და ორივე ყბა ჩამტვრეული. შემდეგ იქიდან ბუჩქებში ჩაუთრევია. ისეთი ადგილია იქ, ვერასდროს ვერავინ ვერ მიაგნებდა. კინოლოგებიც გვყავდა, მაგრამ ძაღლმა კვალი დაკარგა... შუადღეს რომ აღარ დაბრუნდა, ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა დავიწყეთ მისი ძებნა. გვიან ღამემდე ეძებეს და შუაღამისას ნახეს ტყის ნაპირზე ხრამში ჩაგდებული, – ცხედარს ხის ნაფოტები და ფოთლები ჰქონდა დაყრილი.

— **ვინ იპოვა ცხედარი?**

– მთელი ღამე ვეძებდით, მთელი ქალაქი ფეხზე იყო და ეს ბიჭი სახლიდან არ გამოდიოდა. ეჭვი გამიჩნდა, როგორ შეიძლება, თუ ყველაფერი კარგად არის, ასეთ დროს ადამიანი სახლში გაჩერდეს. მე ვთქვი ახლობელ ბიჭებთან, ეს რაღაც საეჭვოდ არის ჩუმად-მეთქი და პირდაპირ პატრულს მივმართე. ეჭვი იმიტომაც გამიჩნდა, რომ ამ ბიჭის შესახებ ადრეც მქონდა მოსმენილი, რომ ახლომახლო მეზობლის ქალების საცვლები იკარგებოდა... ცოტა ადრე, სკოლაში ხატვის მასწავლებლად ვმუშაობდი და იქ სწავლობდა ეს ბავშვი, ვიცოდი, რომ რამდენჯერმე გოგონების საპირფარეშოში შეპარულა სათვალთვალოდ. პატრული დილით მისულა მასთან, მანქანაშივე ულიარებია და ის ადგილიც მიუთითა.

— **მაიას სამი შვილი დარჩა, ხომ?**

– დიახ, ჩემი სიძე, ანუ მაიას მეუღლე და უფროსი დისშვილი, სახლში არ იყვნენ, თბილისში მუშაობენ და იქით იყვნენ წასული. ასე დაგვღუპა იმ ავადმყოფმა. კი დაკავებულია უკვე, მაგრამ ჩემს საცოდავ დას და მის ოჯახს რაღა ეშველება?!

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ნუკრი კ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ტყიბულშივე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნიკა გვარამია“ ნიშნავს უტიფარს! რეგვენს! ნაგავს! მატყუარას! მანიაკს! მწამებელს!“



– „ნიკა გვარამია“ ნიშნავს უტიფარს! რეგვენს! ნაგავს! მატყუარას! მანიაკს! მწამებელს! – ასე ეხმაურება იუმორისტი ბაკურ სვანიძე ნიკა გვარამიას კომენტარს, რომელიც მოსამართლე ურთმელიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება.

ნიკა გვარამია: „ურთმელიძე გადაიქცა ზედსართავ სახელად.

ურთმელიძე ნიშნავს – უსამართლობას;

ურთმელიძე ნიშნავს – დედის უარყოფას...“

ბაკურ სვანიძე:

– რა ანცი ბიჭი გვყავს პატარა ნიკუშა!

ნიკუშ!

და მაგ „დედის უარმყოფელ“ კანონს თავის დროზე ხმა ვინც მისცა პარლამენტში, იმათ დედებს... ხომ იცნობ პირადად?

თუ კანონის მიღება არ არის „დედის უარყოფა“ და იმავე კანონის გამოყენებაა მხოლოდ „დედის უარყოფა“?

გარდა ამისა, ვინაიდან შენ კადრულობ და ცდილობ, შეურაცხყოფით ზეწოლა მოახდინო მოსამართლეზე, მეც მაქვს სრული უფლება, ჩემს მკითხველს მივმართო:

მკითხველებო!

ნიკა გვარამიას აზრით, ურთმელიძე რასაც ნიშნავს და რასთანაც ასოცირდება – უკვე წაიკითხეთ!

მოდით, კომენტარებში დაწერეთ, რას ნიშნავს და რასთან ასოცირდება თქვენთვის ნიკა გვარამია?

მე დავიწყებ:

„ნიკა გვარამია“ ნიშნავს უტიფარს! რეგვენს! ნაგავს! ძ...ნის ბოჩკას! მატყუარას! მანიაკს! მწამებელს! გააგრძელეთ! – წერს ბაკურ სვანიძე. (sazogadoeba.ge)

**ჯერ სად იყო ნიკა გვარამია, როცა ურთმელიძე, როგორც სააკაშვილის მონა მოსამართლე, უსამართლოდ, უსაზიზღრესად მოექცა „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ და არც „ასავალ დასავალისთვის“ დაუკლია ხელი. მაგრამ მაშინ ვიცოდით, რომ ურთმელიძე „მიშასი იყო“. აბა, გამოიცანით, ცისია ახლა?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ორი გატაცებული მწყემსი გაათავისუფლა




ცხინვალის იზოლატორიდან ქარელის რაიონის სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე ოთხი დღის წინ უკანონოდ დაკავებული საქართველოს ორი მოქალაქე გაათავისუფლეს.

როგორც კუკური მაჭახაშვილი და დავით მინდიაშვილი ყვებიან, რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ისინი მაშინ აიყვანეს, როდესაც საქონელს მწყემსავდნენ.

დაკავებულები ჯერ რუსულ ბაზაზე გადაიყვანეს, შემდეგ ცხინვალის ციხეში, ხოლო შემდეგ ზნაურში, სადაც მათი ე.წ. სასამართლო პროცესი გაიმართა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეს ამბავი თუ მართალია, ყველა პოლიციელი საჯაროდ და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს!!!

20 წლის რევაზ ტაკიძე ქობულეთის სამმართველოს პოლიციელებს არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს. ახალგაზრდა ამბობს, რომ სამართალდამცავებმა: ანთაძემ, დიასამიძემ, შაქარიშვილმა და ირემაძემ განყოფილებაში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს:

– 27 ოქტომბერს დამაკავეს სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. თურქეთში გადასვლას ვაპირებდი, იქ სამუშაო მელოდებოდა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩამსვეს პოლიციის მანქანაში და ქობულეთის სამმართველოში მიმიყვანეს. 6 საათის განმავლობაში არავინ იცოდა ჩემი ადგილსამყოფლის შესახებ, არც დარეკვის საშუალებას მაძლევდნენ. ყაჩაღობის შესახებ მეკითხებოდნენ, აზრზე არ ვიყავი მომხდარის შესახებ, პოლიციელები კი ითხოვდნენ, დანაშაული საკუთარ თავზე ამეღო.

— **რა მოხდა განყოფილებაში?**

– პოლიციელებმა ირაკლი შაქარიშვილმა, პაატა ირემაძემ და ბუტა ანთაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს. ოთახში 15-მდე ადამიანი იმყოფებოდა, ყველა მათგანი უმოწყალოდ მცემდა. პოლიციელები ბოთლს მირტყამდნენ, მე და ჩემს ოჯახს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდნენ. მემუქრებოდნენ, რომ ჩემს ძმას წამლით გაუვსებდნენ ჯიბეებს და გვერდით მომისვამდნენ. პოლიციის თანამშრომელმა შაქარიშვილმა მომკლა ცემაში, მაგინებდა, ბუტა ანთაძემ კი შარვალი გამხადა და გაუპატიურებით მემუქრებოდა, მაცივრიდან გამოღებულ ცივ წყალს მასხამდნენ. სახეში მაფურთხებდნენ და წიხლს მარტყამდნენ თავის არეში. საბოლოოდ რომ ვერაფერს გახდნენ, თავზე რაღაც ჩამომაფარეს. ირაკლი შაქარიშვილმა მილეწა მთელი ოთახი, დაამტვრია კომპიუტერები. საბოლოოდ წინააღმდეგობის გაწევა და ქონების დაზიანება „შემტენეს“. თითქოს მე მივუვარდი სამმართველოს შენობაში, ვცემე პოლიციელები და დავაზიანე ინვენტარი.

— **წარსულში გქონდათ თუ არა პოლიციელებთან შეხება, ნასამართლევი თუ ხართ?**

– არასდროს მქონია შეხება პოლიციელებთან, არც ნასამართლევი ვარ, საქართველოში სამსახურის დაწყება როგორ ჭირს, ეს ჩემზე კარგად იცით, ამიტომ ახლობლებთან მივდიოდი თურქეთში, რომ ისევ ჩემს ოჯახს დავხმარებოდი. პოლიციელებმა კი უდანაშაულო კაცი უმოწყალოდ მცემეს, დამამტვრიეს ძვლებში. ყველაზე მეტად ირაკლი შაქარიშვილი აქტიურობდა.

— **მოძალადე პოლიციელებს იცნობდით?**

– ბუტა ანთაძე ჩემი სოფლიდანაა, მიუხედავად ამისა, ისიც უმოწყალოდ მცემდა. ირაკლი შაქარიშვილის სახელი გაგონილი მქონდა. ქობულეთში ბევრი ახალგაზრდა გაუმწარებია ამ უკანასკნელს. მისი შიშით ახალგაზრდები ღამის საათებში სახლიდან არ გამოდიან. ჩემი ცემის პარალელურად სცემეს ბესო მახარაძე. მასაც ყაჩაღობის საკუთარ თავზე აღებას სთხოვდნენ. სამი დღე მაყურყუტეს განყოფილებაში, შემდეგ კი 3 000-ლარიანი გირაო შემიფარდეს, რომლის გადახდის საშუალება არ მაქვს და არც ვაპირებ, გადავიხადო, რადგან მე დანაშაული არ ჩამიდენია.



— **კონკრეტულად რა დანაშაულის აღიარებას მოითხოვდნენ პოლიციელები?**

– ქობულეთის რაიონში სოფელ გვარანში ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს. ამის შესახებ მეც მას შემდეგ გავიგე, რაც პოლიციელებმა სასტიკად მცემეს.

— **რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა და თუ მიმართეთ არასამთავრობო სექტორს დახმარების თხოვნით?**

– მედიის საშუალებით მივმართავ ყველას, მინდა მოძალადე პოლიციელები კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ. ამასთანავე, მინდა გირაო მომიხსნან, რადგან მე უდანაშაულო ვარ. 3 000 ლარი შემოსავალი რომ მქონოდა, თურქეთში ფიზიკურ სამუშაოს არ დავთანხმდებოდი.

ინციდენტის გადასამოწმებლად შს სამინისტროს დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს, რომ ქობულეთის პოლიციის რაიონული სამმართველო იძიებდა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეს. გამოძიების პროცესში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საჭირო გახდა რევაზ ტ.-ს მოწმის სახით დაკითხვა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ რევაზ ტ. იმყოფებოდა სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში და აპირებდა საზღვრის გადაკვეთას.

– მოწმის სტატუსით დაკითხვის პროცესის დაწყებისთანავე, რევაზ ტ. გახდა აგრესიული იმ გამომძიებლის მიმართ, რომელიც მას ჰკითხავდა, მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაამტვრია გამომძიებლის კუთვნილი კომპიუტერი. ხმაურზე ოთახში შესულ პოლიციის ორ თანამშრომელს რევაზ ტ.-მ ასევე მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც ის სსკ-ს 353-ე და 187-ე მუხლების თანახმად დააკავეს. რევაზ ტ.-ს ჩაუტარდა ნარკოლოგიური ექსპერტიზა და დაუდგინდა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი, – აცხადებენ შს სამინისტროში.

რაც შეეხება რევაზ ტაკიძის მიერ ნახსენებ პირებს, მღებრიშვილის უწყებაში ირწმუნებიან, რომ ისინი ინციდენტის დროს პოლიციის შენობაში საერთოდ არ იმყოფებოდნენ.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ბრალდებულის ადვოკატის მიმართვის საფუძველზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

რევაზ ტაკიძეს შსს გენერალურ ინსპექციაში დღეს ელოდებიან. (ნიუპოსტი)



დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


# მანანა ნიკოლაიშვილი: „წინა ხელისუფლების დროს ეს იყო უმაღლესი ხელისუფლების პირების ბიზნესი, რა ხდება დღეს, ვის ინტერესებში შედის?“

## სად მიდის მასწავლებლების გადასამზადებლად გამოყოფილი მილიონები?



„ის, რასაც სახელმწიფო აკეთებს, დანაშაულია და რატომ აკეთებს ამას, პასუხი არ არსებობს. თქვენს გაზეთში რომ დაიწერება, იმედია, მაშინ მაინც გაუჩნდებათ ამ საკითხზე კითხვები და უპასუხებენ კითხვას – რა იმალება ამ ყველაფრის უკან? ფულის გათეთრება თუ თანხის არამიზნობრივი ხარჯვა? სახელმწიფომ ვინმეს აგებინა პასუხი იმაზე, რაც ხდებოდა?“

განათლების ექსპერტი, მანანა ნიკოლაიშვილი, განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს. მისი თქმით, პედაგოგთა გამოცდებზე დარეგისტრირებული 17 ათასამდე პედაგოგიდან, გამოცდა, დაახლოებით 2 ათასამდე პედაგოგმა ჩააბარა.

რატომ აჩვენეს პრაქტიკოსმა პედაგოგებმა დაბალი შედეგები გამოცდებზე? რას გულისხმობს სქემა, რომელიც სახელფასოდ დააწესეს?

**„ალიას“ მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– მოგეხსენებათ, როგორი ცუდი შედეგები დაიდო პედაგოგების გამოცდებზე. არსებობს კითხვები, რომლებზეც შესაბამისი უწყება დუმს და პასუხს არ იძლევა: რატომ ჩაიჭრნენ ეს მასწავლებლები, იყო თუ არა ხარისხიანი ტესტები, იყო თუ არა კომპეტენტური ხალხი კომისიებში? იყო თუ არა ეს ტესტები პროფესიულ დონეზე? რამდენად კარგად იყო ორგანიზებული ეს გამოცდები? ჩატარდა თუ არა კარგი ტრენინგები და საერთოდ, ჩატარდა თუ არა? ათეულობით კითხვის დასმა შეიძლება, ეს მასწავლებლების გამოცდები 2009-დან 2015 წლის ჩათვლით ტარდება. 6-7 წელია, მასწავლებლებს ჭრიან, მანამდე საპილოტედ იყო სამი წელი, ანუ ჯამში ეს გამოცდები 10 წელს ითვლის. გაუგებარია, რა საჭიროა ერთი და იგივე მასწავლებელთა კორპუსის ჩაჭრა?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდებათ?**

– აი, ეს არის ყველაზე მთავარი კითხვა, რაში სჭირდებათ ამ პედაგოგების ჩაჭრა? იმ კითხვებზე, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, წლებია თქვენს გაზეთთან გვისაუბრია. ამ ეტაპზე დღის წესრიგში დგას შემდეგი კითხვა – და ამ წლების მანძილზე რატომ ხდება სისტემის მხრიდან პედაგოგების ჩაჭრა? რა ინტერესი აქვთ? ბოლოს შედეგი კი არის ის, რომ ეს მასწავლებლები გაუშვან სკოლიდან. თუ ეს არის მიზანი, მაშინ რაში სჭირდება ამას მასწავლებლების წინ და უკან ტარება და ფულის ხარჯვა, მათი ჩაჭრა და ღირსების შელახვა? შემდეგ ამ ჩაჭრილი და შეურაცხყოფილი მასწავლებლის სკოლაში მიტრიალება?

**— მაშინ უფრო გაუგებარია, ეს რატომ ხდება?**

– ამ ეტაპზე, უბრალოდ, ვსვამ კითხვას, რატომ აკეთებს ამას სახელმწიფო? ეს სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი არასერიოზული და არაგონივრული მოქმედებაა. თუ მასწავლებლების გაშვება გინდა, გაუშვი. მათი გაშვება გამოცდის გარეშეც შეიძლება. ამისთვის საკმარისია პროფესიონალი კადრები დაასწრო გაკვეთილს, უნდა დააწესო ინსპექტორის ინსტიტუტი სახელმწიფოში, რომელიც გამოცდას შეაფასებს და ხარისხის შემოწმების შემდეგ უნდა გადაწყდეს ამ მასწავლებლის ბედი.

**— თავის დროზე, როცა ამ გამოცდებს აწესებდნენ, რა იყო ამის მიზანი, მხოლოდ კვალიფიციური პედაგოგების შერჩევა თუ არასასურველების გაშვება?**

– არაოფიციალურად, ეს იყო მასწავლებელთა ძველი კორპუსის გაყრა, მაგრამ ოფიციალურად დასახელებული იყო განათლების ხარისხის აწევა, მაგრამ ამით თაობებს რომ კარგავდნენ, ამას არავინ უყურებდა. ის, რასაც სახელმწიფო აკეთებს, დანაშაულია და რატომ აკეთებს ამას, პასუხი არ არსებობს. თქვენს გაზეთში რომ დაიწერება, იმედია, მაშინ მაინც გაუჩნდებათ ამ საკითხზე კითხვები და უპასუხებენ კითხვას – რა იმალება ამ ყველაფრის უკან? ფულის გათეთრება თუ თანხის არამიზნობრივი ხარჯვა? სახელმწიფომ ვინმეს აგებინა პასუხი იმაზე, რაც ხდებოდა?

**— რას გულისხმობთ?**

– სააკაშვილის ხელისუფლების დროს კერძო სექტორს, თავიანთი ჯიბის არასამთავრობოებს მისცეს ამ ტრენინგების ჩატარების უფლება. ნუ, ერთი ჯიბიდან მეორეში გადაიტანეს ეს თანხა, ამის შემდეგ ეს საკითხი თავის თავზე აიღო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, ამ მასწავლებლებმა რომ ვერ ჩააბარეს გამოცდები, ეს ვინმეს მოეკითხა?

**— თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ უხარისხოდ ჩაატარა ტრეინინგები ამ ცენტრმა?**

– აი, წელს, საერთოდ არ ჩაუტარებია ტრენინგები, ისე გაიყვანეს ეს მასწავლებლები გამოცდებზე, რას ნიშნავს ეს, უნდათ, ჩაატარებენ და უნდათ, არ ჩაატარებენ? ე.ი. ტრენინგებში კეთდება ფული, ამის შემდეგ კი მასწავლებელთა ჩაჭრას მოსდევს გრანტების გამოყოფა ცუდი შედეგების გამოვლინების შემდეგ, ვითომდა გადასამზადებლად და შემდეგ ეს თანხები რაში და როგორ იხარჯება, არავინ იცის. ამიტომაც, დროა ამ საკითხით დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები. ყველაფერი შეგნებულად არის გართულებული იმისთვის, რომ შემდეგ ამ ყველაფრისთვის ფული გამოიყოს, ცალკე გრანტებიდან დიდი ფული და ცალკე ბიუჯეტიდან მიაქვთ დიდი თანხები და ეს ყველაფერი იხარჯება არამიზნობრივად და ეს ყველაფერი არის ძალიან დიდი კორუფცია.

**— არამიზნობრივადო, ამბობთ და კონკრეტულად რაში იხარჯება, იცით?**

– როცა თანხას ხარჯავ და შედეგი არ იდება, ეს უკვე არამიზნობრივი ხარჯვაა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება არ ხდება იქ, სადაც არ არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. მაშინ გადამზადება არ უნდა ხდებოდეს რაღაც მოგონილ კერძო ტრენინგცენტრებში, თუნდაც ეს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი ავილოთ, არავითარი გამოცდილება არ აქვთ საქმიანობის, ამიტომაც არის ეს საქმიანობა არამიზნობრივი ხარჯვა და კორუფციის წყარო. მთავრობამ წერტილი უნდა დაუსვას ამ ბაკქანალიას. წინა ხელისუფლების დროს ეს იყო უმაღლესი ხელისუფლების პირების ბიზნესი, ახლა კი ვაპირებ, საგულდაგულოდ გამოვიკვლიო, რა ხდება დღეს ამ მიმართულებით, ვის ინტერესებში შედის? ეს მთავრობა ლამის უკვე „დაბერდა“ ხელისუფლებაში, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯი დღემდე არ გადაუდგამს. მალე არჩევნები იქნება, ამიტომ არც მაქვს იმედი, ამ კუთხით რაიმეს გააკეთებენ. სხვათა შორის, ყოფილი ხელისუფლების დროს, ავად იყო თუ კარგად, რაღაც ტრენინგებს მაინც ატარებდნენ, დღეს კი ესეც არ ხდება. წარსულს დავანებოთ თავი და ვისაუბროთ იმაზე, ესენი რას აკეთებენ? ამ ყველაფერს ჰქვია ბიუჯეტისა და ადამიანების შეურაცხყოფის ფასად თამაშები. ეს უნდა დასრულდეს. ეს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი საერთოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, საერთოდ უნდა დაიხუროს და უნდა აღდგეს დახელოვნების ინსტიტუტი და ამ ყველაფრის ბაზად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იქნეს გამოყენებული. არავითარი კონკურსები, გვყავს პროფესიონალები, რომლებმაც ამ პედაგოგებს უნდა წაუკითხონ ლექციები. როდემდე უნდა იჭრებოდნენ ეს პედაგოგები. გავიგეთ, რომ იჭრებიან, ერთი და იგივე უნდა გააკეთოს სახელმწიფომ და ამაში უნდა ხარჯოს ფული?

ორიოდე სიტყვით გეტყვით ახალ სქემებზეც... საუბარი შეეხება სახელფასო თემას, საინტერესოა, სახელმწიფომ თუ იცის, რომ მხოლოდ და მხოლოდ 151 წამყვანი პედაგოგი გვყავს? იცით, როგორი სამარცხვინო რამ არის, როცა 60 800 პედაგოგზე მეტი გვყავს და მათგან მხოლოდ 151 პედაგოგია წამყვანი? რა არის ეს, ეს ხელისუფლება აპირებს არჩევნების მოგებას? სასიკვდილოდ ჰყავთ ეს მასწავლებლები განწირული? იმისთვის, რომ ბევრ მასწავლებელს არ მოემატოს ხელფასი, მოიგონეს ეს მარაზმატიკული სქემა და მხოლოდ 151 მასწავლებელს მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

ეს არის დანაშაულებრივი სქემა. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ისეთი დაბალი ხელფასები აქვთ მასწავლებლებს, როგორიც ჩვენს ქვეყანაში. პედაგოგები გაკვეთილების მერე მიდიან და სხვაგან მუშაობენ, რადგან სკოლაში მიზერული ხელფასი აქვთ. ახლა კიდევ ერთი იდეა გაჩნდა, რომ ყველა სკოლაში მოეწყოს ვიდეოგაკვეთილები თავისი მიკროფონებით, ჩამწერებით და ა.შ. რომელ ასეთი ხარისხის კაბინეტებზეა საუბარი, როცა ინტერნეტი ვერ დაუყენებიათ სკოლების უმეტესობაში. აბსოლუტური აბსურდები იგეგმება, უნდა ჩაწერონ გაკვეთილები და შემდეგ ატვირთონ „იუთუბიზე“, ეს ყველაფერი ხომ მილიონობით ლარი დაჯდება, ცალკე საგნობრივი ექსპერტები ხომ დასჭირდებათ, ვინც ამ გაკვეთილებს დააკვირდებიან? შემდეგ სადავო საკითხებს დამატებითი ადამიანები სჭირდებიან. ვის სჭირდება ეგ აბსურდის თეატრი? ცალკე აპარატურის დამონტაჟებასა და მართვას დასჭირდება დიდი თანხები და დარწმუნებული ვარ, ბევრი არაკომპეტენტური პირი დასაქმდება და ყველაფერი უხარისხოდ გაკეთდება.

**მანანა ნიკოლაიშვილთან საუბრის შემდეგ, ინტერვიუში დასახელებული ყველა უწყების პრესსამსახურს დავუკავშირდით, თუმცა, მათი კომენტარის ჩაწერა ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზით — გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე, რესპონდენტებს მოგვიანებით ვესაუბრეთ, რა დროისთვისაც უკვე ვერ მოხერხდა მათი მხრიდან შესაბამის პირებთან დაკავშირება. ამიტომ, თუ რომელიმე უწყება გადაწყვეტს ამ თემასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას, „ალიას“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ძალა აქვს წყევლას — „ცუდი რამ მოხდა ძალიან...“ — ნინო ბაშარულის უცნობი ისტორია



– მახსოვს, ჩემი სტუდენტობისას, მეზობელმა ქალმა, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ზედა სართულიდან და ბოროტი მზერით მოითხოვდა, ცოტა ხმადაბლა იმღერეო, ჩემს სიმშვიდესა და ბედნიერებას ნუ უშლი ხელსო, დამწყევლა და წყევლა ღია ფანჯრიდან შემომესმა – „არ გაიხაროს იმან, ვისაც ჩემი სიმშვიდე და ბედნიერება არ უნდაო... იმას არ გაუთენდეს დღე, აჰაანდე და აგრემც იყოს, სულ ატირებულს ვხედავდეო“. მერე იყო და ბოშა ქალმა, რომელიც სულ მხვდებოდა პლეხანოვზე, სადაც გავიზარდე, რომელიც სულ დამდევდა ქუჩაში, გიმკითხავებო, მე ვუპასუხე, დამანებე თავი, თუ გინდა, მე გიმკითხავებ აქეთ-მეთქი, შემომიკურთხა, შენ არ გაიხარეო... მერე ცუდი რამ მოხდა ძალიან... სულ რამდენიმე თვეში ფილტვების ანთება დამემართა და ორი თვე ვწვალობდი, ნახველს სპეციალური „ტრუბკით“ მიღებდნენ ფილტვებიდან... მივხვდი, რომ სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს. როგორც ბოროტს, ისე კეთილს... რომ ის ადრესატამდე მიდის აუცილებლად, მაგრამ იგივე სიტყვა ათმაგი ძალით უკან უბრუნდება ავტორს... და ამის დამამტკიცებელია ის, რომ მეზობელს რამდენიმე წლის შემდეგ სარკომა დაემართა და ტანჯვით გარდაიცვალა, ხოლო როდესაც მკითხაობას მოწყურებული ავანტიურისტი ბოშა თვალში აღარ მეცა და მეგობრებთან აღვნიშნე, ძლივს არ მოგვშორდა ჟენია, რა ტვინს ბურღავდა-თქო, მიპასუხეს, რომ მას მანქანამ დაარტყა შუა გზაზე და იქვე მოკლაო.

**P.S.** სანამ დაიწყევლებოდეს ვინმე, გულში ან ხმამაღლა, კარგად დაფიქრდეს... იმ წუთას ის ადრესატთან მიდის. ადვილად მიდის, მაგრამ უკან სასტიკად უბრუნდება. მე არავინ არ მემეტება სიკვდილისთვის და უბედურებისთვის, თუმცა იცოდეს, რომ მისივე სიტყვა ბუმერანგის ძალას შეიცავს... მასზე თუ არა, მის შვილებზე მიიტანს იერიშს. სამწუხაროა, მაგრამ ზღვა არგუმენტებია ამის მოწმე.

ასე რომ, თუ კარგის თქმა გიჭირთ, ცუდს მაინც ნუ იტყვით. ამ წამს გავიგე, რომ ჩემი უახლოესი ადამიანი დაუწყევლია თურმე ერთ საწყალ ადამიანს, უკვე შედეგები წარმოვიდგინე... და შემეცოდა, – წერს მომღერალი ნინო ბაშარული სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## Forbes: მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში პუტინი ლიდერობს, მე-2 მერკელია



ჟურნალმა **Forbes**-მა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. უკვე მესამე წელია რეიტინგს სათავეში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უდგას.

– რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ადამიანებს შორის, რომელთაც აქვთ საკმარისი ძალაუფლება იმისთვის, რომ აკეთონ ის, რაც სურთ და დარჩნენ დაუსჯელნი, – წერენ რეიტინგის ავტორები.

რეიტინგში მეორე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელია, რომელიც, ასევე, სათავეში უდგას მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალების რეიტინგს. მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში წინა წელს მერკელი მე-5 ადგილს იკავებდა. **Forbes** -ის ავტორები აღნიშნავენ, რომ მერკელი უკვე 10 წელია ხელისუფლებაშია, მან შეინარჩუნა თანამდებობა იმაზე მეტხანს, ვიდრე სხვა ევროპელმა ლიდერებმა.

მეორე ქალი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების პირველ ათეულშია, აშშ-ის ფედერალური სადაზვერვო ფონდის ხელმძღვანელი ჯანეტ იელლენია, რომელიც რეიტინგში მეშვიდეა.

შარშანდელი მე-2 ადგილიდან მე-3-ზე ჩამოქვეითდა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა. რეიტინგის ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს გამოწვეულია იმითაც, რომ დასასრულს უახლოვდება მისი მეორე ვადით პრეზიდენტობა.

– ევროპაში მას ჩრდილში ამყოფებს ანგელა მერკელი, ახლო აღმოსავლეთში კი აშკარად უგებს ვლადიმირ პუტინი. – წერენ რეიტინგის ავტორები.

მე-4 ადგილს რეიტინგში რომის პაპი ფრანცისკი იკავებს, რომელსაც რეიტინგის ავტორები დამსახურებად უთვლიან კათოლიკური ეკლესიის კონსერვატორული იმიჯის ცვლილებას.

მე-5 ადგილზეა ჩინეთის თავკაცი სი ცზინპინი, რომელიც გასული წლის რეიტინგში მე-3 ადგილს იკავებდა. საინტერესოა, რომ **Microsoft**-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი რეიტინგში მე-6-ა.

მე-8 ადგილს რეიტინგში ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კამერონი იკავებს.

მე-9 და მე-10 ადგილები კი რეიტინგში ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის და კორპორაცია **Google**-ის დამაარსებელ ლარი პეიჯს მიაკუთვნეს. **(kvirispalitra.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოცნება“, ღადაობთ, არა? პენსიები გაუზარდეთ ხალხს და დაასაქმეთ, ადამიანის დაბერების პროცესს პარლამენტი როგორ უნდა ებრძოლოს?!



პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილმა დაბერების საკითხებთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა პირველი შეხვედრა გამართა.

– დაბერების თემა და ხანდაზმულობაზე ზრუნვა საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ბოლო პერიოდში მიმდინარეობს ერის აქტიური დაბერება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეკონომიკურ და საბიუჯეტო რესურსებზე. მოსახლეობის დაბერება არ არის საშიშროება, რომელიც უნდა ავირიდოთ – ეს არის დემოგრაფიული გარდაქმნის გარდაუვალი რეალობა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს პოლიტიკის დარეგულირება.

უნდა ვიზრუნოთ ხანდაზმული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მონაწილეობაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვაზე, შრომის ბაზარზე მათი გამოცდილების გამოყენებაზე, გენდერულ საკითხებზე, თაობათა შორის სოლიდარობაზე და მრავალ სხვა საკითხზე.

ამისთვის საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა მულტისექტორული ჯგუფი, სადაც გაერთიანებულნი არიან სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თითქმის ყველა უწყების მინისტრები და მათი მოადგილეები.

დამტკიცდა დაბერების საკითხებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის დებულება.

განხილულ იქნა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი წლის მანძილზე შემუშავებული იქნება სტრატეგიული მოქმედების გეგმა, – აცხადებს ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე.

სამუშაო ჯგუფის შემდეგი შეხვედრა 15 დეკემბერს გაიმართება, სადაც განხილული იქნება ეროვნული გეგმის პირველი პროექტი. (ინტერპრესნიუსი)

**დაბერების საკითხებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა — ჟღერს ისე, რას იტყვით, აა?**

**სამწუხაროდ, იმედები უნდა გაგიცრუოთ და უნდა გითხრათ, რომ ესენი ჩვენი დაბერების ბუნებრივ პროცესს ვერ შეაჩერებენ. ერი ბერდებაო, აკი ამბობენ, მაგრამ რატომ — აღარ დააკონკრეტეს, თუმცა ჩვენ გეტყვით: ხელფასები არ ჰყოფნით, პენსია არ ჰყოფნით, სამსახური არ აქვთ, სანერვიული — იცოცხლე! პლუს შეგვჭამეს „ნაცებმა“ ჭკუის დარიგებით, „ოცნებამ“ — უშნოობით, უილაჯობით, უმოქმედობით. მოკლედ, თქვენ გვაბერებთ ჩვენ, პოლიტიკოსებო, და ახლა ეს რაღაც უცნაური პროექტი უნდა გვაყვედროთ — აგე, თქვენი დაბერების წინააღმდეგ ვიწყებთ გალაშქრებასო...**

**ვაი, ჩვენს პატრონს თქვენს ხელში!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## პენტაგონი რუსეთს ნომერ პირველ საფრთხედ მიიჩნევს

შეერთებული შტატებისთვის ნომერ პირველი საფრთხე რუსეთია. ამის შესახებ აშშ სახმელეთო ჯარების მეთაურმა მარკ მილიმ განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთი თავისი ბირთვული არსენალითა და არაპროგნოზირებადი, აგრესიული პოლიტიკით უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს აშშ-სთვის, ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“.

– რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც აშშ-ის განადგურება შეუძლია. ბირთვული იარაღი სხვა სახელმწიფოებსაც აქვს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რაც რუსეთს. მათი გეგმების გამოცნობა კი ძალიან რთულია, – აღნიშნა მილიმ. (ghn.ge)

## „რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ.შეიარაღებული ძალების წვრთნა ადრინდელზე ინტენსიურად მიმდინარეობს“



ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის, ელჩ კიასტუტის იანკაუსკასის ინფორმაციით, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. შეიარაღებული ძალების წვრთნა და აღჭურვა ადრინდელზე უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.

– ბოლო თვეების განმავლობაში უსაფრთხოების სიტუაცია შედარებით მშვიდია, მაგრამ იყო პერიოდები, მაგალითად, ივლისში, აგვისტოში, როდესაც ჩვენ ახალ სირთულეებს წავაწყდით. ვგულისხმობ ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების განთავსებას სოფელ ხურვალეთთან. ასევე, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა აფხაზეთში, ენგურის საზღვართან. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ყველა მონაწილისა და ჟენევის დისკუსიების წყალობით სიტუაცია მაინც შენარჩუნდა კონტროლის ქვეშ. ამჟამინდელ უსაფრთხოების ვითარებას რაც შეეხება, ის ყალიბდება იმ შეთანხმებების საფუძველზე, რომელსაც რუსეთმა ხელი მოაწერა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან. არის გარკვეული მილიტარისტული ქმედებების ინტენსიფიკაცია თვითონ რუსეთში, წვრთნები და ა.შ. აგრეთვე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებული ნაწილების უფრო აქტიური ტრენინგი მიმდინარეობს, ვიდრე ადრე. ასევე, აღვნიშნავთ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას ამ რეგიონებში და რუსეთის სარკინიგზო ჯარის ნაწილების შესვლას აფხაზეთში, რომლებიც რკინიგზას აახლებენ, – განაცხადა ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა.

მისივე ინფორმაციით, წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთში 124 ადამიანი დააკავეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, აფხაზეთში კი ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა.

მისიის ხელმძღვანელი ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელებას მომავალშიც პროგნოზირებს, გამომდინარე იმ რუკებიდან, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ეყრდნობა.

ელჩმა ასევე ისაუბრა, რომ სკოლის მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ, რათა გალიდან ზუგდიდში გადმოვიდნენ. (ინტერპრესნიუსი)



## ალექსანდრე კვიტაშვილს მინისტრის თანამდებობიდან ორ კვირაში გადააყენებენ

უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უკრაინის ჯანდაცვის მინისტრს, ალექსანდრე კვიტაშვილს თანამდებობიდან გადააყენებენ. როგორც „ბიბისი“ წერს, დაგეგმილ საკადრო ცვლილებებზე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა გამოცემა „პოლიტიკოსთან“ საუბარში განაცხადა.

იაცენიუკის თქმით, ახალი ხელმძღვანელები ეყოლება ენერგეტიკისა და განათლების სამინისტროებსაც. გარდა ამისა, დაინიშნება ვიცე-პრემიერი ევროპული ინტეგრაციის საკითხებში.

ჯერ უცნობია, ვინ გახდება უკრაინის ჯანდაცვის ახალი მინისტრი. იაცენიუკის ინფორმაციით, კანდიდატურების შერჩევის პროცესი პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან შეთანხმებით მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

# ხუთი განსხვავება პროფკავშირების და მთავრობის საპენსიო რეფორმებს შორის



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33


**„ალია“ უკვე წერდა, რომ პროფკავშირების გაერთიანება, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით საპენსიო რეფორმას ამზადებდა და შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, მთავრობასა და პატლამენტში უნდა გადაეგზავნათ.**

**მაშინ „ალიას“ პროფკავშირების ხელმძღვანელმა, ირაკლი პეტრიაშვილმა განუცხადა, რომ პენსიები სამართლიანი უნდა იყოს და ვინც ბიუჯეტში გადასახადებს იხდის, მას სიბერეში ღირსეული პენსია უნდა ჰქონდეს და არა ისე, როგორც დღესაა — იხდი გადასახადს თუ არა, ყველას თანაბარი პენსია აქვს, რაც უსამართლობაა. ინტერვიუში პეტრიაშვილმა ისიც გვითხრა, რომ საპენსიო რეფორას მთავრობაც ამზადებდა, თუმცა, დეტალებზე არ უსაუბრია.**

**დასრულდა თუ არა რეფორმის პროექტზე მუშაობა? საბოლოოდ რა სახით ჩამოყალიბდა და როდის შევა პარლამენტში?**

**„ალიას“ ირაკლი პეტრიაშვილი ესაუბრა:**

**— საბოლოოდ, რაზე შეჯერდით? საპენსიო სისტემის თქვენეული ვარიანტი როგორია?**

– როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვქონდა გარკვეული ინიციატივა საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით, ამისთვის მოვიწვიეთ სპეციალისტები ბელგიიდან, გერმანიიდან, მოვაწყვეთ შეხვედრა და მათ გავაცანით ჩვენი ინიციატივები. ამავე დროს, გვყავდა მთავრობა მოწვეული, რომელმაც თავისი ინიციატივები წარმოგვიდგინა როგორც ჩვენ, ისე – მათ. როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, ჩვენი შეხედულებები მთავრობის პროექტისგან განსხვავებულია. კარგი არის ის, რომ მთავრობაც და პროფკავშირებიც ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა გამოუსადეგარია და უნდა შეიცვალოს, მაგრამ, როგორ უნდა შეიცვალოს, სწორედ ამაშია პროფკავშირსა და მთავრობას შორის დიდი განსხვავება.

**— რა განსხვავებებია? როგორია მთავრობის საპენსიო პროექტი?**

– მაგალითად, მთავრობის პროექტის მიხედვით, 50 წლის მამაკაცებისთვის და 45 წლის ქალებისთვის ის საპენსიო მოდელი, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ვერ ჩაჯდებიან ამ სისტემაში და მათი სისტემაში ჩართვა არაფრისმომტანია – ფონდში საპენსიო თანხის დაგროვებას ვერ შეძლებენ. ანუ თუ მთავრობის მოდელი შემოვა დღის წესრიგში, ამ შემთხვევაში 45 წლის ქალბატონისა და 50 წლის მამაკაცის ამ სისტემაში ჩართვას არანაირი აზრი არ ექნება. პირდაპირ აცხადებს მთავრობა, რომ მათზე ეს გათვლილი არ არის. ჩვენ კიდევ ვამბობთ, რომ ეს არის პრობლემა და მას დღესვე სჭირდება დარეგულირება, მოგვარება. ამ შემთხვევაში, ჩვენი სქემა გულისხმობს შემდეგს: ადამიანი, რომელიც ამ სისტემაში ჩაერთვება, უკვე ერთ წელიწადშიც მიიღებს საბაზისო პენსიაზე კიდევ დანამატს პენსიის სახით. სისტემაში ჩართვიდან 10-15 წლის შემდეგ, მათი საპენსიო შენატანები დაემატება დღეს არსებულს და ეს ადამიანები მიიღებენ იმაზე მეტ პენსიას, ვიდრე დღევანდელი საბაზისო პენსიაა.

მეორე ძირითადი განსხვავება ჩვენსა და მთავრობის პროექტს შორის: მთავრობა ამბობს, რომ ეს უნდა იყოს, გარკვეულწილად, ნახევრად სავალდებულო, ანუ თითქოს ნებაყოფლობითი. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს უნდა იყოს სავალდებულო. ახალგაზრდა და შუა ხნის ადამიანი როცა მუშაობს, ბევრი არ ფიქრობს პენსიაზე და მერე დგება პრობლემის წინაშე. თუმცა ვნახოთ, ამ საკითხზე შევჯერდებით.

მესამე განსხვავება: მთავრობა სადაც ფიქრობს ამ თანხის დაბანდებას, ვთქვათ სპეციალურ ფონდში, ეს შეიცავს, გარკვეულწილად, რისკს და ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში, შეიძლება ეს დაგროვებითი პენსია გაუფასურდეს. ჩვენს შემთხვევაში ამის რისკი უფრო დაბალია, საუბარია ფასიან ობლიგაციებზე და ასე შემდეგ, გარკვეულ კრიტერიუმებს ვაკეთებთ, თუ სად შეიძლება პენსიონერმა დააბანდოს ეს ფული. იქ უკვე რისკი ნაკლებია და ინფლაცია ამ პენსიონერის ასალებ თანხაზე ვერ აისახება. მაგალითად, თქვენ დღეს შეიძლება შეიტანოთ თანხები და ეს თანხები იყოს მომხიბვლელი, როცა პენსიაზე გაბრძანდებით, მაგრამ ინფლაციამ შეიძლება ისე შეგიჭამოთ ეს თანხა, რომ რეალურად, მხოლოდ ქაღალდი შეგრჩეთ ხელში.

მეოთხე განსხვავება: მთავრობის პროექტის შემთხვევაში, ყველა აგროვებს თავისთვის, აქედან გამომდინარე, ზარალსაც ყველა თავისთვის ითვლის, ხოლო ჩვენი პროექტის შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ ვფიქრობთ, სავალდებულო უნდა იყოს სისტემაში ჩართვა, არის გარკვეული სოლიდარობის პრინციპი და მისგან გამომდინარე ვამბობთ, რომ ეს პენსია გადაუნაწილდეთ ქალბატონებს, რომლებიც დეკრეტულ შვებულებაში არიან გასულები და პენსიას ვერ აგროვებენ; ასევე, გადაუნაწილდეთ დროებით უმუშევრებს და ა.შ. უფრო გასაგებად რომ აგიხსნათ, მაგალითად, თქვენ რომ გადაწყვიტოთ დეკრეტში გასვლა და 3-4-ჯერ გადაწყვიტოთ ბავშვის გაჩენა, იმ პერიოდში თქვენ ამ პენსიას ვერ აგროვებთ, აქედან გამომდინარე, თქვენთვის აბსოლუტურად არ იქნება მომხიბვლელი ის სქემა, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს. ჩვენ ამ შემთხვევაში ვამბობთ – თუ თქვენ სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით უმუშევარი დარჩით (აქ დეკრეტული შვებულებაც იგულისხმება) და ეს გაგრძელდა 5-6 თვე, რაც ევროპული სტანდარტით დაშვებული ნორმაა, თქვენ უნდა დაგიგროვდეთ ეს პენსია და სწორედ ამას ნიშნავს სოლიდარული დამოკიდებულება საზოგადოებისა და სოლიდარული მართვა, რომ როდესაც თქვენ გიჭირთ, გეხმარებათ ქვეყანა, ხვალ სხვას გაუჭირდება და მას უკვე თქვენ ეხმარებით (აქვე მინდა ვთქვა: თუ დროებით უმუშევრობა გაგრძელდა წლების განმავლობაში, მაშინ ბოდიში, პენსიის დაგროვება არ მოხდება). ეს საპენსიო ფონდი არის საერთო ყულაბა იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ სქემაში არიან ჩართული.

მეხუთე განსხვავება, რაც შეეხება თანხების გადახდას. მთავრობის სქემა გაჰყვება იმას, თუ როგორი იქნება ინფლაცია და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში, ეს არის ბოლო ზღვარი და მას, ვისაც აქვს მაღალი საპენსიო შენატანები და მისი 1-2% არის, დავუშვათ, 80 ლარი, რომელსაც ის იხდის, ამ 80 ლარით უნდა გადაუხადოს დაბალშენატანიანს, ანუ საერთო ყულაბაში ის თანხა ყველასი უნდა იყოს, სოლიდარობის გათვალისწინებით, მაგრამ თქვენს თანხას თუ სხვას მისცემენ, თქვენ არ გეკარგებათ ის ფული, უკან გიბრუნდებათ.

კიდევ ერთი: ჩვენ ვამბობთ, რომ აქ მთავრობა არ უნდა მონაწილეობდეს, რადგან, როცა მთავრობა ასეთ სქემებში ერევა, არის მომენტები, როცა ფულს ხან იქით გადაისვრის, ხან აქეთ. აქედან გამომდინარე, იქმნება პრობლემები. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოებში და საიდანაც ეს ყველაფერი ფინანსდება, ეს უნდა მართოს ჯგუფმა, ვისაც აქვს ამის გამოცდილება, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ ძვირად ღირებული მომსახურებაა.

**— ადრე იყო საუბარი, რომ პენსია უნდა იყოს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. დღევანდელ სიტუაციაში, როცა ადამიანი თავისი ცხოვრების უმეტეს დროს არაფერს აკეთებდა, სხვას კი 40 წელი აქვს ნამუშევარი, ორივეს პენსია თანაბარია. ეს იქნება რამენაირად გათვალისწინებული?**

– არა, არ იქნება. ეს იმის მიხედვით დაითვლება, ვის რა ოდენობის თანხა შეაქვს საპენსიო ფონდში. მასეთ პირებს მხოლოდ ის საბაზისო პენსია ექნებათ, რაც, მაგალითად, დღევანდელი დღისთვის 160 ლარს შეადგენს, ანუ თუ მას არანაირი შენატანი არ ექნება საპენსიო ფონდში, ასე ვთქვათ, დანამატს ვერ მიიღებს და მხოლოდ იმ მომენტისთვის არსებულ საბაზისო პენსიას აიღებს. აქვე მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს: ადამიანი, რომელიც, სიტყვაზე, პენსიაზე იყო გასული, აქვს თანხა დაგროვილი და გარდაიცვალა, ეს თანხა არის მისი ოჯახის, მისი მემკვიდრის საკუთრება და არა ვინმე სხვისი, ანუ ეს საპენსიო ფონდში არ რჩება, ეს მისი ქონებაა.

**— ჩვენი პირველი საუბრის შემდეგ, პარლამენტში თუ გქონიათ შეხვედრები და თქვენს პროექტს თუ ჰყავს მხარდამჭერები?**

– ახლა ვერ გეტყვით, ვინ გვიჭერს მხარს და ვინ – არა. ჩვენი პროექტი საბოლოო ექსპერტიზას გადის ჩვენი ბელგიელი კოლეგის მხრიდან, რათა მოხდეს მის მიერ წარმოდგენილი და ჩვენ მიერ დადებული მოდელების სინქრონიზაცია და რისკების გათვლა. ამის სპეციალისტი გახლავთ სწორედ ეს ადამიანი, დოქტორი, რომელიც ევროპის ინსტიტუტში არის და ამ პროექტის დამუშავება სწორედ იქ მიმდინარეობს. უკვე ამის შემდეგ ჩვენ მას წარვუდგენთ პარლამენტს და მთავრობას, მაგრამ პირველ რიგში, ამას წარვუდგენთ ჩვენს საზოგადოებას, რადგან ეს მათი დაკვეთაა და ვალდებული ვართ, ასე მოვიქცეთ. ჩვენი ბელგიელი კოლეგა 20 ნოემბრამდე წარმოგვიდგენს საკუთარ, ასე ვთქვათ, დასკვნასა თუ შენიშვნებს და უფრო დეტალურად უკვე შემდეგში შემეძლება საუბარი. თუმცა რაც ახლა მოგახსენეთ, ეს ჩვენ მიერ შემუშავებული საპენსიო სისტემის ძირითადი და მთავარი მომენტებია.



**საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა გამოუსადეგარია და უნდა შეიცვალოს, მაგრამ, როგორ უნდა შეიცვალოს, სწორედ ამაშია პროფკავშირსა და მთავრობას შორის დიდი განსხვავება**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საყოველთაო ჯანდაცვით სარგებლობა 2013 წლის 1-ელ ივლისამდე კორპორაციული დაზღვევის მქონე პირებსაც შეეძლებათ“



საყოველთაო ჯანდაცვით სარგებლობა იმ პირებსაც შეეძლებათ, რომლებსაც 2013 წლის 1-ელ ივლისამდე კორპორაციული დაზღვევა ჰქონდათ და ამის გამო აღნიშნულის შესაძლებლობა ახლა არ აქვთ.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, უკვე მიმდინარეობს მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის შესაბამის დადგენილებაში ცვლილება შევიდეს და საყოველთაო ჯანდაცვა ხელმისაწვდომი აღნიშნული კატეგორიის პირებისთვისაც გახდეს. „არსებული მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებსაც 2013 წლის 1-ელ ივლისამდე ჰქონდათ კორპორაციული დაზღვევა, ხოლო მათ, ვინც კორპორაციული დაზღვევა შემდგომში დაკარგა, მიეწოდება მხოლოდ მინიმალური პაკეტი. იმისთვის, რომ თავიდან ობიექტურად გავაკეთოთ გამიჯვნა ამ სერვისებით მოსარგებლეებისთვის, აუცილებლად გვჭირდება სადაზღვევო ინდუსტრიისგან დაზუსტებული მონაცემთა ბაზა, რომლის მიღება ძალიან გართულდა, თუმცა ბოლო დღეების ინფორმაციით, სადაზღვევო ინდუსტრია მზად არის იმისთვის, რომ მოგვაწოდოს ეს ბაზა. შესაბამისად, უკვე ტექნიკური ხასიათის საკითხი დარჩება, როგორ გავაკეთებთ ახალ გამიჯვნას, რომ ეს იყოს სამართლიანი. ამას კანონში ცვლილებები არ დასჭირდება. მთავრობის დადგენილებაში 2013 წლის 1-ლი ივლისის მაგივრად ჩაიწერება შესაბამისი ვადა, როდესაც მონაცემთა ბაზის დადარება დასრულდება, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (პირველი რადიო)

## ამას მართლა სჯერა, რომ პუტინს ცხინვალი ადარდებს?!



ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, მან რუსეთის პრეზიდენტისგან ე.წ. რესპუბლიკის გაზიფიკაციაში დახმარების პირობა მიიღო და ამ მიზნით „გაზპრომის“ ერთ-ერთმა ინსტიტუტმა გაზიფიკაციის სქემა შეიმუშავა. თიბილოვის თქმით, მან ეს გეგმა უკვე დაამტკიცა, თუმცა სამუშაოებისა და ხარჯების მოცულობის გამო თიბილოვი ფიქრობს, რომ ამ პროექტის განხორციელება საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში ვერ მოხერხდება და ამისთვის ცალკე გეგმა იქნება შესამუშავებელი. ცხინვალის რეგიონის ე.წ. პრეზიდენტის თქმით, ამჟამად „გაზპრომის“ ხელმძღვანელთან, ალექსეი მილერთან შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება, შეხვედრა, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მოხდება. (ნიუპოსტი)

# ბიძინა ივანიშვილმა საქმის გამოსაძიებლად ყველაფერი აუდიტს დაათვლევინა და დარწმუნდა, რომ 3 საკუთარი ძმა დაიჭიროს, რომელიც თავს იმართლებს,




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


ბიძინა ივანიშვილი ნელ-ნელა სწყდება მთავარ გუნდს და მითი იმის შესახებ, რომ ყველაფერს აკონტროლებს, უკვე იმსხვრევა. შეიძლება ის ცდილობს, ყველაფრის საქმის კურსში იყოს, ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს, მაგრამ ადამიანი, რომელიც ურეკში საკონცერტო დარბაზის მშენებლობასაც ვერ აკონტროლებს და საკუთარი ნათესავებიც კი ატყუებენ, მთელ ქვეყანას, მთავრობას და თუნდაც პარლამენტს რანაირად გააკონტროლებს?

როგორც კონფიდენციალური წყარო უყვება „ალიას“, ურეკში, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში დიდი გარჩევები და მისვლა-მოსვლაა. საქმე ეხება ურეკში საკონცერტო დარბაზის მშენებლობიდან მოპარულ მილიონებს, საწვავსა და სამშენებლო მასალებს. საქართველოში რომ ქურდობა და მამაძაღლობა ოდითგან მოდის, ეს არახალია, მაგრამ ამ ყველაფერში საკუთარ ძმასა და ნათესავებზე რომ დაიწყება საუბარი, უკვე მძიმე სიტუაციაა. მოკლედ, ინკოგნიტო წყაროს თქმით, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა „ბიძინოლოგიაში“ და მის გარემოცვასთან დაახლოებული პირია, ამბობს, რომ ივანიშვილმა ყველა კი გამოიჭირა ქურდობაში, ყველა კი გაშიფრა, მაგრამ უკვე გვიანია.

„ერთ დღეს ბიძინას შეუნიშნავს ცისტერნიანი მანქანები, რომლებიც ტყიდან გამოდიან. დაინტერესებულა, ესენი ხომ ჩვენი მანქანებია, ჩვენი ფირმისო? დაუჟინიათ, არ არის ჩვენი, არ ვიცით, ვისიაო. ამის შემდეგ დაუწყია დაკვირვება – შეუსწავლია გადაადგილება, მძღოლები, „პრარაბები“ და ასე შემდეგ. როგორც კი ბიძინას ხელქვეითები, ანუ მშენებლები მიხვდნენ, რომ საქმე თანდათან იხსნებოდა, ადგნენ და გაახმაურეს, თითქოს მის ძმას, ადიკოს მეგობარი ქალბატონი ატყუებს, თითქოს მან მიითვისა რაღაც თანხები. ამაზე სკანდალი ატეხა ადიკოს ცოლმა. თურმე ვილაც 26 წლის გოგო ყოფილა, თბილისში სამი ბინა აქვს, „იქს პიატები“, ბათუმში სახლები, ასევე ურეკშიც. მეტი გამოსავალი ვერ მოძებნეს, ბიძინასთან თავის მართლება დაიწყეს, ადიკო ვიღაც ქალმა გაასულელა და თანხების გაფლანგვაც მისი ბრალი ყოფილა. ბიძინას უთქვამს ხუმრობით, მაშინ ჩემს ძმას გავაგდებ აქედან და იმ გოგოს დავნიშნავ მშენებლობის უფროსად, თუკი მაინც ყველაფერს ის ატრიალებსო. ადიკოს ჰყავს ერთი მძახალი, გვარად მეგრელიშვილი, რომელზეც ამბობენ, კარგად გაკეთდაო, ის ეუბნება, რომ არა ვილაც ქალი, ხომ იცი, შენი ძმა როგორი პატიოსანიაო? ერთი სიტყვით, ბიძინა ძალიან გამწარდა, ბევრი იყო გამზადებული დასაჭერად, მაგრამ ცოტა ხნით პროცესი შეჩერდა.

ერთი ბათუმელი ტიპი ჰყავდა „ციცინათელაში“, საბავშვო პარკი რომააშენა, ის დაიჭირეს, მერე გირაოთი გამოუშვეს, რაღაც ჩვენება მისცა და დაუფასეს. ეს ტიპი საკონცერტო დარბაზის მშენებლობასაც აქცევდა ყურადღებას, დაახლოებით 3 მილიონ დოლარამდეა დაკარგული. პრინციპში, რასაც ადიკოზე ამბობენ, ნაწილობრივ მართალია, ისეთი გარემოცვა ჰყავს, ერთ ჭიქა ჭაჭას დაალევინებენ და „ვსიო“, რასაც უნდათ, იმას გააკეთებინებენ. ამასაც უხარია, პატივს მცემენ, მაფასებენო. ძალიან ევასება, როცა რესტორანში ეპატიჟებიან, ეგეც არ სვამდეს რა, 100 გრამი არაყი და მორჩა, 75 წელს გადასცილდა, მეტი აღარ შეუძლია“.

იგივე ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა საქმის გამოსაძიებლად თბილისიდან კაი სპეციალისტებიც კი ჩაიყვანა, ყველაფერი აუდიტს დაათვლევინა და დარწმუნდა, რომ 3 მილიონი დოლარი „მოუტეხეს“, მაგრამ რა უნდა ქნას, საკუთარი ძმა დაიჭიროს, რომელიც თავს იმართლებს, ჩემი ბრალი არ არის, ქალმა გამასულელაო? წყაროს თქმით, ქალი მართლაც არსებობს, მის შესახებ ურეკში უკვე ყველამ იცის:

„როგორც ამბობენ, ამ გოგოს მილიონ-ნახევარი დოლარი აქვს წაღებული. ადიკოსთან მუშაობდა, მისი ხელქვეითი იყო. ატეხეს ერთი ამბავი, თითქოს 75 წლის ადიკომ ცოლს უღალატა და ცუღლუტობა დაიწყო. 26 წლის გოგოს რა ჯანდაბად უნდა ეს ბებერი კაცი? აქ ფულია მთავარი, ფული და კაი ცხოვრება. ახლა მისი მძახალი, მეგრელიშვილი და ძმაკაცები ხატავენ, თითქოს ადიკო გაწირეს, ასე ატყუებდნენ, ბატონო ბიძინა, მიხედე, თორემ საერთოდ დაიღუპებაო. სანამ საქმე გაიხსნებოდა, ხმას არ იღებდნენ, ახლა დაიწყეს, იქნებ როგორმე გადაარჩინონ“.

ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება რამდენიმე კითხვა: პირველი – თუკი ბიძინა ივანიშვილს იქვე, საკუთარი ცხვირის წინ 3 მილიონს ჰპარავენ, თუკი ამდენს უბედავენ, რატომ ვერ მოჰპარავენ, მაგალითად, ხელისუფლებაში მყოფი ავაზაკები? მეორე – თუკი ბატონი ბიძინა საკუთარ გარემოცვას ამდენს პატიობს და დასაჭერად უკვე აღარავის იმეტებს, ვითომ რატომ არ აპატიებს იმ ადამიანებს, რომლებიც ბიუჯეტიდან იპარავენ თანაც არა მის ფულს, არამედ ხალხისას? ფაქტობრივად, ჩვენ სამი წლის განმავლობაში ვხედავთ, რომ ის ყველას ყველაფერს პატიობს. არადა, სანამ პოლიტიკაში



„პრინციპში, ვინც რას იმსახურებს, იმას იღებს. ხალხმა იკითხოს ისევ, გაბითურებული რომ დატოვეს, თორემ ბიძინას 3 მილიონი არ გააღატაკებს. აი, ასეთ დროს არის საჭირო არჩევნების ბოიკოტი, თორემ პარლამენტს ბევრი დატოვებს კარგად გამაძღარი და მათ ნაცვლად ვინც მოვა, იმათ გაქსუებას უნდა უყუროს ხალხმა...“



„ერთ დღეს ბიძინას შეუნიშნავს ცისტერნიანი მანქანები, რომლებიც ტყიდან გამოდიან. დაინტერესებულა, ესენი ხომ ჩვენი მანქანებია, ჩვენი ფირმისო? დაუჟინიათ, არ არის ჩვენი, არ ვიცით, ვისიაო. ამის შემდეგ დაუწყია დაკვირვება – შეუსწავლია გადაადგილება, მძღოლები, „პრარაბები“ და ასე შემდეგ. როგორც კი ბიძინას ხელქვეითები, ანუ მშენებლები მიხვდნენ, რომ საქმე თანდათან იხსნებოდა, ადგნენ და გაახმაურეს, თითქოს მის ძმას, ადიკოს მეგობარი ქალბატონი ატყუებს, თითქოს მან მიითვისა რაღაც თანხები“

# თბილისიდან კაი სპეციალისტებიც კი ჩაიყვანა, მილიონი დოლარი „მოუტეხეს“, მაგრამ რა უნდა ქნას, ჩემი ბრალი არ არის, ქალმა გამასულელაო?



> „რაც შეეხება საკონცერტო დარბაზს, ჭერისთვის, რომელიც უნდა დაიხუროს და გაიხსნას, მოუკლიათ სადღაც 20 სანტიმეტრი, რაღაც ნაწილი მოუპარავთ და ახლა აღარ ჯდება სტანდარტებში, არც იხსნება, არც იხურება. აქ ძალიან დიდი ფული დაიხარჯა, მაგრამ საქმე არ გაკეთდა. შინაურებიც კი ატყუებენ...“





მოვიდოდა, მის პრინციპულობაზე ლეგენდები დადიოდა, რადგან თავისი ქვისლიც კი ჰყავდა დაპატიმრებული.

ინკოგნიტო წყაროს თქმით, ბიძინა ივანიშვილი რომ გაბრაზებულა, უთქვამს, ადიკოს მალე მივუჩენ თავის ადგილსო:

„ადიკოს რაღა ადგილი უნდა მიუჩინოს, უკვე მიჩენილი არ აქვს? შენს ძმას რომ საწვავს მოჰპარავ და ტყიდან ტრაილერებით გაყიდი, მეტი რა სასჯელი გინდა? ვერ გავიგე, ფული აკლია თუ ცხოვრება? ადამიანი ასეთი რომ დაიბადები, ეგაა. ერთი ცისტერნა შევიდა ტყეში, მეორე, მესამე და გასკდა ეგ ამბავი, შეამჩნიეს. რაღაც დროის შემდეგ კი იგებს ბიძინა, რომ მოატყუეს, მაგრამ უკვე გვიანია ხოლმე, მერე ზის და იცემს თავში ხელებს. რაც შეეხება საკონცერტო დარბაზს, ჭერისთვის, რომელიც უნდა დაიხუროს და გაიხსნას, მოუკლიათ სადღაც 20 სანტიმეტრი, რაღაც ნაწილი მოუპარავთ და ახლა აღარ ჯდება სტანდარტებში, არც იხსნება, არც იხურება. აქ ძალიან დიდი ფული დაიხარჯა, მაგრამ საქმე არ გაკეთდა. შინაურებიც კი ატყუებენ...“

ეს ქვეყანა ძალიან პატარაა, ყველას ყველაფერი ესმის და ყველა ყველაფერს ხედავს. კონფიდენციალური წყარო იმასაც ამტკიცებს „ალიასთან“ საუბარში, რომ ურეკის მიმართულებით უკვე დაწყებულია წინასაარჩევნო მიმოსვლა, ახლა ყველა ცდილობს, როგორმე კიდევ მოხვდეს ბიძინა ივანიშვილის სიაში:

„მაქვს ინფორმაცია, რომ იანვრიდან საარჩევნო ამბებში თვითონაც ჩაერთვება. უკვე ძალიან ბევრი დაძრწის მის კარზე, ვეღარ გაიგებ, ვინ ვინაა და ვის რა უნდა, ყველა სათავისოდ იწყობს საქმეებს. მაგალითად, ლანჩხუთში უკვე ჩამობრძანდა ბადრი წილოსნის (ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი. – გ.ზ.) ქალიშვილი, რომელსაც პრეტენზია აქვს, ივანიშვილმა ეგებ სიაში ჩასვას. ბადრი წილოსანი გახლავთ მარიკა ვერულაშვილის ქმრის, სოსო ჩხაიძის ბიძა. ესენი უკვე ხარჯავენ ფულს, აწყობენ რაღაც ღონისძიებებს. ვატყობ, 2016-ში ისეთი „სასტავი“ ეყოლება ბიძინას, 2012 წელი მონაგონი იქნება.

ცოტა ხნის წინ კაკო ბობოხიძემ ჩაგვიქროლა, ამას რაღა უნდოდა ურეკში, ვერ გავიგე, ეს რაღას დაწანწალებს? თუნდაც მარიკა ვერულაშვილის ქმარს რა უნდა ბიძინასთან? მიდიან, მოდიან, არის გაგანია მოლაპარაკებები, დაპირებები. არც „ოცნების“ წევრები უქნია ღმერთს, მაგრამ თუ ბიძინას გადაპორტირებული „ნაციონალებისა“ კიდევ სჯერა, მაშინ ძალიან ცუდად ჰქონია საქმე. ბიძინას გარშემო დიდი „ბარდაგია“, მე უფრო წინდახედული მეგონა ეს კაცი. ჰგონია, ვინც თავს დაუქნევს ყველაფერზე და ფეხქვეშ გაეგება, ასეთი ადამიანი ქვეყნისთვის კარგია. კი, „ნაციონალური“ სენი რომ მოვიშოროთ, ცოტა ძალაობაც არის საჭირო, მაგრამ ზოგიერთმა სულელმა და უტვინომ როგორ უნდა აჯობოს ამათ? ხომ შეიძლება საყრდენად ნორმალური ხალხი მოძებნო? თუ ისევ ვერულაშვილები მოხვდებიან სიაში და თან ნათესავებსაც ჩაუწყობენ საქმეებს, მივიღებთ გაცილებით უარესს“.

როდესაც პოლიტიკიდან მიდიხარ და პრემიერ-მინისტრის პოსტსაც ტოვებ, უნდა გახსოვდეს, რომ ეს საქართველოა და ცოტა ხანში აღარაფრად ჩაგაგდებენ. როდესაც ხალხის ხარჯზე ყველას ყველაფერს პატიობ, უნდა გახსოვდეს, რომ ეს შენი ყოფილი ხელქვეითები ბოლომდე აიშვებენ, ანუ არც მარგველაშვილი გამოვა პომპეზური რეზიდენციიდან, არც უსუფაშვილი გაგიწევს ანგარიშს და შეიძლება რიგითმა დეპუტატმაც დაგიკიდოს.

პრინციპში, ვინც რას იმსახურებს, იმას იღებს. ხალხმა იკითხოს ისევ, გაბითურებული რომ დატოვეს, თორემ ბიძინას 3 მილიონი არ გააღატაკებს. აი, ასეთ დროს არის საჭირო არჩევნების ბოიკოტი, თორემ პარლამენტს ბევრი დატოვებს კარგად გამაძღარი და მათ ნაცვლად ვინც მოვა, იმათ გაქსუებას უნდა უყუროს ხალხმა...

**„ალია“ კომენტარისთვის საკონცერტო დარბაზის დამფინანსებელ ფონდ „ქართუს“ დაუკავშირდა. ჩვენ დასაწყისში ოპერატორს ვთხოვეთ, რომელიმე პასუხისმგებელ პირთან კონტაქტი, რათა გაფლანგული თანხების შესახებ გავსაუბრებოდით. ტელეფონთან მოვიდა სამშენებლო კომპანია „ატუს“ (ეს კომპანია აშენებს საკონცერტო დარბაზს, რომელსაც აფინანსებს „ქართუ“) გამგეობის წევრი, ბატონი როსტომი, რომელმაც გვარი ცოცხალი თავით არ გაგვიმხილა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ამ კომპანიის გამგეობაში ერთი როსტომი არსებობს და გვარად ჩაბრაძეა. ჩვენ ამ ადამიანს გავაცანით საქმის არსი და ვთხოვეთ, ან დაედასტურებინა, ან გაებათილებინა, მაგრამ მან არც ერთი გააკეთა და არც მეორე, ანუ არც დაადასტურა, არც უარყო, გვირჩია, წერილობით მივმართოთ გამგეობას და ოდესღაც ოფიციალურად მივიღებთ პასუხს.**

**თუ ფონდ „ქართუს“ და სამშენებლო კომპანია „ატუს“ ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის, გვიპასუხოს და აგვიხსნას, რა ხდება ურეკში, პრობლემა ნამდვილად არ იქნება, ჩვენ მათ პოზიციასაც გამოვაქვეყნებთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა დააგემოვნა ქელეხში „სავაშმა“ და რატომ სტუმრობს ხშირად ჩოხატაურს



დიასახლისების საყვარელი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში პოპულარობა „სავაშის“ როლით მოიპოვა, ჩოხატაურის ხშირი სტუმარია. ის ჩოხატაურის სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსთან, საკრებულოს წევრ მანანა მინდაძესთან მეგობრობს და მის ოჯახს შიგადაშიგ სტუმრობს.

მეტიც, როგორც გვეუბნებიან, მეგობრების ახლობელთა გასვენებებსაც არ ტოვებს:

– გუშინ იყო ჩამოსული. ჩვენი საერთო მეგობრის დედა გარდაიცვალა. მურატი ძალიან ტრადიციული ახალგაზრდაა და ჩათვალა, რომ მეგობრის დედის დაკრძალვაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო, – აღნიშნა მინდაძემ.

როგორც გავარკვიეთ, ილდირიმი გურიის პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის, შოთა მჟავანაძის ბებიის გასვენებაში იმყოფებოდა, ქელეხშიც დარჩა და კორკოტიც დააგემოვნა.

მანანა მინდაძის თქმით, მურატს ძალიან უყვარს ღომი და სულგუნი.

ის ადამიანები, რომლებიც მსახიობთან ერთად იმყოფებოდნენ, ამბობენ, რომ ის თბილი და მეგობრული ადამიანია:

– მურატი ჩემი ოჯახის ხშირი სტუმარია. იგი ბევრ პროექტშია ჩართული და აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, – აღნიშნა მანანა მინდაძემ. (gurianews.com)

## კარიმ ბენზემა დაპატიმრებულია — ფეხბურთელს სექსშანტაჟში ედება ბრალი



საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და „მადრიდის რეალის“ ფეხბურთელი, კარიმ ბენზემა სექსშანტაჟის ბრალდებით დააპატიმრეს.

ბენზემა ვერსალის პოლიციამ დააკავა. მას „ლიონის“ ფეხბურთელის, მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველის, მატიო ვალბუენას შანტაჟში ედება ბრალი.

ამავე საქმეზე რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთის პოლიციამ „ლივერპულის“, „ლაციოსა“ და „მარსელის“ ექსფორვარდი, ამჟამად „სეინტ პიეროისის“ თავდამსხმელი, ფრანგი ფეხბურთელი ჯიბრილ სისე, 3 თანამზრახველთან ერთად, დააკავა. თუმცა, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო მალევე გაათავისუფლა, დანარჩენი 3 კი ამ დრომდე პატიმრობაში რჩება.

გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელები ვალბუენას 100 ათას ევროს სძალავდნენ. თუკი მატიე ამ თანხას არ გადაიხდიდა, ეროტიკული ხასიათის ვიდეოჩანაწერის გასაჯაროებით ემუქრებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, ვალბუენამ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში კარიმ ბენზემას 5-წლიანი პატიმრობა ემუქრება. (ნიუპოსტი)



1. კომპოზიტორი ზაქარია ...
2. აჭარული ცეკვა
3. ბათუმის უბანი
4. დავით ნარინი და დავით ...
5. დაბა სვანეთში
6. მუცელი (მოძვ.)
7. მისი დედაქალაქია ულან-ბატორი
8. რეჟისორი ლანა ...
9. მტაცებელი ცხოველი სავანაში
10. მისი დედაქალაქია ანკარა
11. „მფრინავი“ თაგვი
12. ფულადი გათამაშება
13. ქეთოს მამობილის თანამდებობა („იავნანამ რა ჰქმნა?“)
14. ქალაქი, სადაც გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი
15. ძველი ასურეთის დედაქალაქი
16. მეცნიერება თევზების შესახებ
17. ვაზის საყრდენი ჯოხი
18. მიმდინარეობა მხატვრობაში
19. ათასწლეულის დასასრული
20. ამერიკ. ხალხური მუსიკის ჟანრი
21. ასტრიდ ლინდგრენი. „ჩვენც სალტკროკელები ...“
22. თბილისის უბანი
23. თვალის ფერადი გარსის ანთება
24. ველური ცხენი
25. სამოგზაურო გემი
26. მსახიობი ... ჰაიეკი
27. მსახიობი ვახტანგ ...
28. მსახიობი ... მინელი
29. „ბერნარდა ალბას ...“
30. მსახიობი ... სინიორე
31. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
32. ძველი დახეული ქსოვილი
33. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
34. ფეხბურთელი ლიონელ ...
35. მსახ. ... ბერიკაშვილი
36. ტაძარი ქუთაისში
37. კონდახიანი მშვილდისარი
38. მწერალი ... კოლოდი
39. მეფის სასახლე ესპანეთში
40. ექსცენტრიული ადამიანი, წარმოადგენს ქალაქის სახეს
41. ბურღულეული
42. „მაუგლი“ პითონი
43. სახელოს მიკერების ფასონი
44. მეზავრობისას საჭირო ნივთების კოლოფი
45. კომპოზიტორი სულხან ...
46. ფაშვის წვნიანი
47. მეფე ვახტანგ ...
48. მსახიობი ... გრანტი
49. ფედერიკო ფელინის ფილმი
50. წარგზავნილი ადამიანების ჯგუფი
51. ჰიუსტონის ფილმში „... მცველი“
52. ყინვაგამძლე სითხე
53. მოსამსახურე
54. ცეცხლის ენა
55. მადაგასკარის დედაქალაქი
56. მდინარე იტალიაში
57. გამოსახულების გადაცემა ტელევიზიით
58. იაპონური ავტომობილი
59. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
60. აზოტშემცველი სასუქი
61. ვერდის ოპერა
62. ბრონტე. „ჯეინ ...“
63. პოეტი ... ბოლქვაძე
64. ყავისფერი პიგმენტი
65. ინგლისური ლუდი
66. ...-კლარჯეთი
67. ექსპრეზიდენტი რონალდ ...
68. გამოძიების ერთ-ერთი გზა
69. ძაღლის ჯიში
70. პერგამენტი
71. ფრანგი კონსტრუქტორი
72. თირკმლების ექიმი
73. ... ამაღლობელი
74. მსახიობი ... დანაური
75. დახვეწილი ნამცხვარი
76. ინტელექტუალური თამაში
77. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
78. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
79. ჰომეროსის პოემა
80. ბიბლიიდან: ... და დალილა
81. მუხის ნაყოფი
82. უკრაინული ავტომობილი
83. „... ფანჯარას სხივი სტყორცნა“
84. მეწისქვილის წილი ფქვილიდან
85. ლატვიის დედაქალაქი
86. გაზაფხულის თვე
87. ქალი, ანუ ...
88. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
89. მხ/ფ „... სახლში“
90. აივენჰოს სატრფო
91. მხ/ფ „101 დალმატინელი“ პერსონაჟი
92. ხარებთან ბრძოლა
93. ... სულაკაური
94. ტაბლეტი
95. მსახიობი ლიუდმილა ...
96. გულუბრყვილო
97. მსახიობი ... სარაჯიშვილი
98. ტენორი ბენიამინო ...
99. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
100. მექსიკური ქუდი
101. ზღვის ფრინველის სკორე
102. არქიმედეს შეძახილი აბაზანაში
103. ქართ. ხალხური ზღაპარი
104. ნაცია
105. მეტყველების ორგანო
106. ძვირფასი წითელი ქვა
107. მხატვარი ალბრეხტ ...
108. მკითხავი, ანუ ...
109. თათარაში ამოვლებული ნიგვზები
110. მხედველობის ორგანო
111. გემი ორი კორპუსით
112. რეჟისორი ... კავალეროვიჩი
113. პარფიუმერ. ფრანგ. ფირმა
114. ხუთკაციანი ანსამბლი
115. მხატვარი ანრი ტულუზ-...
116. ფრანგ მეფეთა სასახლე
117. ისტორიიდან: ... არაგველი
118. მსახიობი ბრედ ...
119. ქართ. საესტრადო ანსამბლი წარსულში
120. ძველი სტილი მოდაში
121. მწერალი სომერსეტ ...
122. წყლის მოლუსკი
123. ქალაქი აფხაზეთში
124. მომღერალი დაიანა ...
125. მხედართმთავარი (ძვ.)
126. ნუშის ლიქიორი
127. საკერავი მანქანის დეტალი
128. მწერალი ... ქიაჩელი
129. ... ნასრედინი
130. ტბები ... და ონეგი
131. მსახიობი ... ბესინჯერი
132. 1000კგ
133. ავტომობილი გამოძახებით
134. რაჯ კაპური ფილმში
135. ცეცხლის დასანთები წკირი
136. გრამატიკის ნაწილი
137. გულის მთავარი სისხლძარღვი
138. ყველაზე მტკიცე მინერალი
139. პირის ნაცვალსახელი
140. ინერტული აირი
141. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი

პასუხები: 1. ფალიაშვილი; 2. განდაგანა; 3. მახინჯაური; 4. ულუ; 5. ლენტეხი; 6. სტომაქი; 7. მონღოლეთი; 8. ღოღობერიძე; 9. ლომი; 10. თურქეთი; 11. ღამურა; 12. ლატარია; 13. ნაიბი; 14. განჯა; 15. ნინევია; 16. იქთიოლოგია; 17. ჭიგო; 18. ავანგარდიზმი; 19. მილენიუმი; 20. ქანთრი; 21. ვართ; 22. ნაძალადევი; 23. ირიტი; 24. მუსტანგი; 25. იახტა; 26. სალმა; 27. ნინუა; 28. ლაიზა; 29. სახლი; 30. სიმონა; 31. მემ; 32. ძონძი; 33. ტატამი; 34. მესი; 35. გივი; 36. ბაგრატი; 37. არბალეტი; 38. კარლო; 39. ალკაზარი; 40. კოლორიტი; 41. მაკარონი; 42. კაა; 43. რეგლანი; 44. ნესესერი; 45. ცინცაძე; 46. ხაში; 47. გორგასალი; 48. ჰიუ; 49. „ამარკორდი“; 50. დელეგაცია; 51. პირადი; 52. ანტიფრიზი; 53. ლაქია; 54. ალი; 55. ანტანანარივუ; 56. პო; 57. ტრანსლაცია; 58. „მაზდა“; 59. ოლია; 60. ნიტრატი; 61. „რიგოლეტო“; 62. ეარი; 63. ზაურ; 64. მელანინი; 65. ელი; 66. ტაო; 67. რეიგანი; 68. ვერსია; 69. დოგი; 70. ეტრატი; 71. ეიფელი; 72. უროლოგი; 73. რატი; 74. ფეი; 75. რულეტი; 76. ვიქტორინა; 77. ოთარაანთ; 78. ისლანდია; 79. „ილიადა“; 80. სამსონი; 81. რკო; 82. „ტავრია“; 83. მზემ; 84. მინდი; 85. რიგა; 86. მარტი; 87. დიაცი; 88. სირ; 89. მარტო; 90. როენა; 91. კრუელა; 92. კორიდა; 93. ზაალ; 94. აბი; 95. გურჩენკო; 96. ალალი; 97. ნანული; 98. ჯილი; 99. ბეჟანა; 100. სომბრერო; 101. გუანო; 102. ევრიკა; 103. „ირმისა“; 104. ერი; 105. ენა; 106. ლალი; 107. დიურერი; 108. მარჩიელი; 109. ჩურჩხელა; 110. თვალი; 111. კატამარანი; 112. ეჟი; 113. „ისი-პარი“; 114. კვინტეტი; 115. ლოტრეკი; 116. ვერსალი; 117. სამასი; 118. პიტი; 119. „რერო“; 120. რეტრო; 121. მოემი; 122. მიდია; 123. გაგრა; 124. როსი; 125. სპასალარი; 126. „ამარეტო“; 127. მაქო; 128. ლეო; 129. მოლა; 130. ლადოგი; 131. კიმ; 132. ტონა; 133. ტაქსი; 134. „ავარა“; 135. ასანთი; 136. სინტაქსი; 137. აორტა; 138. ალმასი; 139. მე; 140. არგონი; 141. სერ. იკითხება: იადონი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო



## ბრალეული სასამართლოდან გაიპარა, მოგვიანებით კი უდანაშაულოდ ცნეს

„წრუწუნ, რასა ხტები, კიბეზე ჩამოდი რაღა“ – 55 წლის სალადინ განის რომ სცოდნოდა, ათავისუფლებდნენ, სასამართლოს ტუალეტიდან აღარ გაიპარებოდა, მაგრამ არაფრის გამო 20-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტად საზარლად და უსამართლოდ ჟღერდა. სალადინ განი მეზობელმა დაადანაშაულა 7 000 დოლარის ქურდობაში. მეზობელს მინდობილმა პოლიციამაც განი თაღლითობის მუხლით დააკავა. სასამართლო ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლოს კი, როცა უდანაშაულო დამნაშავის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა სალადინს გულმა ვეღარ გაუძლო და ტუალეტში გასვლა ითხოვა, საიდანაც უკვალოდ გაქრა. გარკვეული პერიოდი მეგობართან იმალებოდა, სწორედ მასთან ყოფნისას, ტელევიზორით გაიგო მისი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ. „როცა საკუთარი თავი დავინახე, თავიდან შემეშინდა, მერე გამეცინა, ვერ ვიჯერებდი. უკანასკნელ სულელად ვგრძნობდი თავს“, – აცხადებს საკუთარი სასამართლოდან გაქცეული სალადინ განი.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## Gmail თქვენს წერილებს ავტომატურად უპასუხებს



კომპანია **Google**-მა ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა, რომელიც **Gmail**-ზე მოსულ წერილებს პასუხს ავტომატურად გასცემს. **Google**-ის განცხადებით, სიახლე სასარგებლოა მათთვის, ვინც ელ-ფოსტით ხშირად სარგებლობს. ასევე, მათთვის, ვინც წერილებზე პასუხის გასაცემად სმარტფონს იყენებს.

**Gmail** გთავაზობთ 3 სავარაუდო პასუხს, რომელთაგან თავად ირჩევთ ალტერნატიულ ვარიანტს. ამ ახალი ტექნოლოგიების შემქმნელები გამოტყდნენ, რომ სისტემა სრულყოფილი არ არის და შეცდომის ალბათობაც არსებობს. სწორედ ამიტომ აქვს სამი სავარაუდო პასუხი და თითოეული მათგანის მოცულობა 3-დან 6 სიტყვამდე მერყეობს. ჯერჯერობით უცნობია, სისტემა მხოლოდ ინგლისურს აღიქვამს, თუ სხვა ენებზეც შეუძლია პასუხის გაცემა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## იაპონელებმა მამაკაცთა უნაყოფობის სამკურნალოდ ახალი მეთოდი შეიმუშავეს



იაპონელი მეცნიერები ახალი აღმოჩენის შესახებ განცხადებას აკეთებენ. მათ შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც მამაკაცებს უშვილობისგან განკურნავს. კვლევის ერთ-ერთი ავტორის, ასტუშ ტანაკას თქმით, ის მამაკაცები, რომელთაც აქამდე შვილი არ ჰყავდათ, შეძლებენ ჯანსაღი შთამომავლობის დატოვებას. მათ არ დასჭირდებათ გენური თერაპია და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები, რომელთაც გვერდითი მოვლენები ახასიათებთ. თუმცაღა, ეს გამოგონება პანაცეა არ არის და ის ეხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპერმატოზოიდი თავიდანვე უნაყოფო და სტერილური არ არის. ექსპერიმენტის დროს მეცნიერები 14 უშვილო წყვილს დაეხმარნენ, რომელთაც მოგვიანებით შვილი გაუჩნდათ.

*korrespondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჰავაიზე 10 წლის ბიჭმა ზვიგენის ყბიდან თავის დაღწევა შეძლო



10 წლის რეიმონდ სენენსი ჰავაის სანაპიროზე, მაკაჰა ბიჩზე ბოდიბილდინგით იყო დაკავებული, როცა მოულოდნელად ზვიგენი დაესხა თავს. როგორც სენენსი ამბობს, ზვიგენი უცებ, არსაიდან გამოჩნდა და ფეხზე უკბინა. ბიჭი, ნაცვლად იმისა, რომ პანიკაში ჩავარდნილიყო, არ დაიბნა და მეორე ფეხი ცხვირში დაარტყა. ცნობილია, რომ ცხვირსა და თვალებში დარტყმის შემდეგ ზვიგენი გარკვეული დროით ორიენტაციას კარგავს და თავდასხმას წყვეტს. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ზვიგენი უკან გაბრუნდა და ბიჭი გადარჩა. სანაპიროზე მეორე ბოდიბილდერი, მაიკ უორდი იმყოფებოდა, რომელიც რეიმონდს სანაპიროდან გაღწევაში დაეხმარა, საიდანაც მერე საავადმყოფოში აღმოჩნდა. რეიმონდს სამი ღრმა ჭრილობა აქვს ფეხზე, თუმცა ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და მალე გავლასაც შეძლებს.

2015 წლის განმავლობაში ზვიგენის ადამიანზე თავდასხმის ეს უკვე მე-7 შემთხვევაა, რასაც, ხელისუფლების თქმით, არა ზვიგენების რაოდენობის, არამედ სანაპიროზე დამსვენებელი ადამიანების რიცხვის ზრდა იწვევს.

*baltnews.iv*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## მილანში რესტორანი მოქმედ ციხეში გახსნეს




მილანში, ბოლატეს მოქმედი ციხის შენობაში რესტორანი გახსნეს. რესტორნის ხელმძღვანელობა პატიმრებს დაევალათ. დაიქირავეს 2 მზარეული, მიმტანები კი პატიმრები არიან. ამ საპასუხისმგებლო საქმეს მხოლოდ იმ პატიმრებს ანდობენ, რომლებიც მავნე ჩვევებითა და საეჭვო საქციელით არ გამოირჩევიან.

ციხის დირექტორმა, მასიმო პარიზიმ აღნიშნა, რომ რესტორანი პატიმრებს საზოგადოებასთან ურთიერთობის შანსს აძლევს. „ვიმედოვნებ, რომ ციხიდან გასვლის შემდეგ, ისინი დანაშაულს აღარ ჩაიდენენ“, – დაამატა მასიმო პარიზიმ.

სტუმრებს შეუძლიათ, რესტორანში სხვადასხვა გემრიელი კერძი დააგემოვნონ. თითოეული კერძის საშუალო ღირებულება კი დაახლოებით 12 ევროს შეადგენს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ტეხასელმა მამაკაცმა შემწვარი ქათმის ნაჭრისთვის... მეგობარი სიცოცხლეს გამოასალმა



სად თხილის გული და სად ქათმის დაბრაწული, მადისაღმძვრელი ნაჭერი – ტეხასელმა რინალდო კარდოსო რივერამ, თხილის გული რა არის, რომ მოესურვებინა, სულ დავუთმობდი იმ ჩემს მეგობარ დარვინ პერსე გონსალესსო, მაგრამ აი, ქათმის ნაჭერზე ბოდიში მომითხოვია და ცოტა უმართავი ვხდებიო. თურმე, 38 წლის რივერა და მისი ოთხი მეგობარი მშვიდად სადილობდნენ. არც ლუკმებს უთვლიდნენ ერთმანეთს და არ ყლუპებს. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა დარვინმა ქათმის უკანასკნელი ნაჭერი მიირთვა, რომელიც თურმე რინალდოს თავისთვის ჰქონია შეგულებული. რინალდომ მეგობარს ეს დაუდევრობა არ აპატია და დანით გადაწყვიტა მტყუან-მართლის გარჩევა და გაუმაძღარი მეგობარი სიცოცხლეს გამოასალმა. პოლიცია არ აკონკრეტებს მიყენებული ჭრილობების რაოდენობას.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



– დღეს ვცადე, ჩემი თუთიყუშისთვის ტანგო მესწავლებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როგორც ჩანს, მაგარი დებილია!

– დარწმუნებული ხარ, რომ თუთიყუშია დებილი?!

*****

სიტუაცია ციხეში:

– რისთვის ჩაგსვეს?

– კომიქსი დავხატე, სადაც პრეზიდენტი დებილად მყავდა გამოყვანილი.

– და რაო, რა მუხლი წაგიყენეს: ხულიგნობა? ექსტრემიზმი?

– სახელმწიფო საიდუმლოების გამხელა!..

*****

რუსი მედესანტეები თვითმფრინავით მიფრინავენ. ოფიცერმა გამოაცხადა:

– აბა, ბიჭებო, ავღანეთში მივფრინავთ და მოემზადეთ.

ჯარისკაცები მოიღუშნენ, ოფიცერი კი აგრძელებს:

– თითოეული მოკლული ბოევიკის თავის სანაცვლოდ, პრემიის სახით 1000-1000 დოლარს მიიღებთ!

თვითმფრინავი დაეშვა, მედესანტეებიც მაშინვე აქეთ-იქით დაიფანტნენ. მარტო დარჩენილი ოფიცერი პირდაღებული დგას. ნახევარ საათში მედესანტეები დაბრუნდნენ, ხელში ყველას 10-10 თავი უკავია.

ოფიცერმა მაშინვე გონება დაკარგა, როცა გამოფხიზლდა:

– ბიჭებო, ჩვენ ხომ ტაშკენტში დავეშვით, საწვავი უნდა შეგვევსო...

*****

ღამით ახალგაზრდა ქალი ბნელ ორღობეში მიდის. ხედავს, წინ ზორბა მამაკაცი მოდის ფართოდ გაშლილი ხელებით. ქალს შეეშინდა, იქვე დიდი ქვა მოძებნა და ესროლა. უცბად მინის მტვრევისა და საშინელი გინების ხმა გაისმა:

– ამის დედაც... უკვე მესამე მინაა, სახლამდე ვერ მიმიტანია!!!

*****

– დედა, გეყოფა ჩემთვის ღამღამობით საბნის შემოკეცვა, პატარა ხომ აღარ ვარ?!

– მერე რა, რომ პატარა აღარ ხარ, ხომ შეიძლება, გაცივდე?

– ჰო, მაგრამ მერე ჩემი ცოლი ცივდება!!!

*****



ქორწილის მეორე დღეს კოტე სამსახურში მივიდა. თანამშრომლები:

– აბა, როგორ ჩაიარა პირველმა ღამემ?

– არაფერი არ მახსოვს!

– რატომ, ასე დათვერი?

– არა, წვეთიც არ დამილევია. უბრალოდ, როგორც კი მაკიაჟი მოიშორა, მაშინვე გონება დავკარგე...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მამაკაცის ფიზიკური ძალის დადგენა მისი ხმის მეშვეობით შეიძლება?

თანაც ამის დადგენა საკმაოდ ზუსტად ყოფილა შესაძლებელი...



როგორც ირკვევა, სპეციალისტებმა ამერიკელ, არგენტინელ, ბოლივიელ და რუმინელ მამაკაცებსა და ქალებს ერთი და იმავე ფრაზების რამდენჯერმე გამეორება და მათი ჩაწერა სთხოვეს, შემდეგ კი ჩანაწერები ასევე ორივე სქესის წარმომადგენლებს, რიგით ადამიანებს მოასმენინეს. პროცესის პარალელურად, თავად მეცნიერები, იმ ადამიანების ტანის ზედა ნაწილის კუნთების ძალას აკვირდებოდნენ, რომელთა ხმებიც სპეციალურ მოწყობილობაზე იყო ჩაწერილი.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ხმის შემფასებლებმა მათთვის სრულიად უცხო ადამიანების ძალა ადვილად შეაფასეს, თანაც, ძალიან დიდი სიზუსტით. ამასთანავე, უფრო ადვილი მამაკაცების ძალის განსაზღვრა აღმოჩნდა, ვიდრე ქალების.

მეცნიერები ჯერჯერობით ვერ ხსნიან, ხმის რომელი პარამეტრის მიხედვით ხდებოდა მოლაპარაკე ადამიანის შესაძლებლობების დადგენა, თუმცა ის კი ფაქტია, რომ შეფასებას საინტერესო შედეგები მოჰყვა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მამაკაცის ხმის შეფასების შესაძლებლობას, ანუ ბრძოლაში კონკურენტების დამარცხების უნარს, ევოლუციური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, წარმოუდგენელია მოწინააღმდეგის ძალის განსაზღვრა, როცა ირგვლივ წყვდიადია ჩამოწოლილი, მაგრამ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ადამიანის ევოლუციის შედეგად, ეს პრობლემა მოგვარებულია კიდეც. კვლევის ავტორები გვახსენებენ, რომ ხმის ტემბრით კონკურენტის შესაძლებლობების უშეცდომოდ დადგენა შეუძლიათ ცხოველებს და არ არის გამორიცხული, ასეთი უნარი ბუნებისგან ადამიანებსაც ჰქონდეთ მიმადლებული.

*pronowosti.ru*

## როცა ადამიანი შეყვარებულია, საჭმელ-სასმელი ბევრად ტკბილი ეჩვენება



თუ დიასახლისს კერძი მლაშე გამოუვა, გაეხუმრებიან ხოლმე – შეყვარებული ხარ ნამეტანიო.

კაცი რომ დაფიქრდეს, მარილსა და სიმლაშეს სიყვარულთან აბა, რა ხელი აქვს? ჰოდა, მეცნიერებმაც დაადგინეს, რომ შეყვარებულობა ადამიანს ტკბილისკენ უბიძგებს და არა მლაშე-მწარისკენ.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთია სინგაპურის უნივერსიტეტის სპეციალისტების მოსაზრება.

მათი განმარტებით, როცა ადამიანი შეყვარებულია, საჭმელ-სასმელი მას ბევრად ტკბილი ეჩვენება.

ექსპერიმენტების ფარგლებში, მოხალისეებს ევალებოდათ, სხვადასხვა ემოცია – შეყვარებულობა, ეჭვიანობა და ასე შემდეგ, სხვადასხვა გემოსთვის მიესადაგებინათ – ტკბილთან, ცხარესთან, მლაშესთან, მჟავესთან და ასე შემდეგ. მომდევნო ეტაპზე მოხალისეების ერთი ჯგუფი აღწერდა საკუთარ გრძნობებს, მეორე კი რაიმე მოსაწყენ მოვლენას. სულ ბოლოს კი რესპონდენტებმა შეთავაზებული საკვების გემო შეაფასეს: მას, ვინც ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე ბედნიერ სიყვარულს აღწერდა, კერძები გაცილებით ტკბილი ეჩვენებოდა, ვიდრე მათ შემთხვევაში, ვინც ცოტა ხნით ადრე სისულელეებზე საუბრობდა. უფრო მეტიც, პირველი ჯგუფის წევრებს ისიც კი მოეჩვენათ, რომ ჩვეულებრივი წყალი „წაუტკბილებდა“.

მეცნიერების განმარტებით, „დამნაშავე“ ნერვული სისტემის საერთო მუშაობაა და უკავშირდება იმას, რომ ჩვეულებრივ, სიყვარულსაც და ტკბილსაც ტვინი აღიქვამს, როგორც ჯილდოს.

ჰოდა, აჯილდოვეთ ერთმანეთი სიყვარულით და ცხოვრებაც უფრო ტკბილი და გემრიელი გექნებათ!..

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**5 ნოემბერი:** გაუბედაობა არ გახასიათებთ, მაგრამ ყველაფერი ხდება. შეიძლება რაღაც საქმეების გადადება მოგიწიოთ, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

**კურო 22.04-21.05**

**5 ნოემბერი:** დღეს მიზნის მიღწევას მოულოდნელობის ეფექტით და აქტიური შეტევით შეძლებთ. თხოვნაზე, დიდი ალბათობით, უარს გეტყვიან.

**ტყუპები 22.05-21.06**

**5 ნოემბერი:** კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა არ მოგიწევთ. უბრალოდ, არავინ არ გაგაკრიტიკებთ. თქვენს ყველა ქმედებას სათანადოდ აღიქვამენ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**5 ნოემბერი:** უმჯობესია, გარისკოთ და იმოქმედოთ. რომც არაფერი გამოგივიდეთ, ის მაინც გეცოდინებათ, რომ სცადეთ. უმოქმედობით არაფრის იმედი არ გქონდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**5 ნოემბერი:** არავისთვის არანაირი პრეტენზიის წაყენება არ ღირს, რადგან მათ უსაფუძვლობას აგიხსნიან და ბოდიშის მოხდა მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**5 ნოემბერი:** შესაძლოა, სილამაზის აღქმის პრობლემა გაგიჩნდეთ. უმჯობესია, ეს საკითხი დროზე მოაგვაროთ, თორემ სიმახინჯეს წააწყდებით.

**სასწორი 23.09-22.10**

**5 ნოემბერი:** შეეცადეთ, დასვენება შეძლოთ, თორემ დიდია ალბათობა, რომ მომდევნო დღეები ძალიან დაძაბული აღმოჩნდეს. ასე რომ, მოემზადეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**5 ნოემბერი:** ისეთ ძლიერ მუხტსა და ენერგიას მიიღებთ, რამდენიმე დღე გაგყვებათ. შეეცადეთ, ძალები ფუჭად არ დახარჯოთ, საკმარისი საქმეები გაქვთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**5 ნოემბერი:** შექება დაიმსახურეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შემქები არ გამოჩნდება. ამიტომ საკუთარ თავს თავად უნდა მიხედოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**5 ნოემბერი:** ზედმეტის თქმას დუმილი ჯობია. იღბალი თქვენთან იმ მომენტამდე იქნება, სანამ მასზე თავად არ იტყვით უარს.

**მერწყული 20.01-18.02**

**5 ნოემბერი:** თქვენი მოქმედებები და წარმატებები იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დარწმუნებული იქნებით საკუთარ შესაძლებლობებში.

**თევზები 19.02-20.03**

**5 ნოემბერი:** ცოტა დრო გექნებათ, მაგრამ გასაკეთებელი საკმაოდ ბევრი იქნება. იქნებ ყველაფერი საფუძვლიანად დაგეგმოთ და მის მიხედვით იმოქმედოთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## ბრიტანულმა კომპანიამ მანათობელი ნაყინი გამოუშვა



ამ სიცივეში რა ნაყინი აუტყდათ, მით უმეტეს, მანათობელი, მაგრამ, მგონი, სიახლის უპირატესობა სწორედ მის უცნაურობაშია – აბა, მოკაშკაშე ნაყინი გაგისინჯავთ სადმე?

როგორც ირკვევა, სიახლის ავტორი ჩარლი გარი ფრენსისია, რომელიც ტკბილეულის მწარმოებელი კომპანიის შეფია.

მისი განმარტებით, ნაყინისთვის შეუფერებელი ასეთი უჩვეულო ეფექტის მიღებაში განსაკუთრებული სახეობის ცილა დაეხმარა, რომელიც ნათების უნარს მედუზებს აძლევს.

ცნობილია, რომ ახალი პროდუქტის შექმნაზე ჩარლი ფრენსისი ჩინელ სპეციალისტებთან ერთად მუშაობდა, რომლებმაც ე.წ. განსაკუთრებული ცილა სწორედ მედუზების ორგანიზმიდან მოიპოვეს.

გამოდის, რომ ამ სიახლით ადამიანი სინჯავს არა მხოლოდ მანათობელ, არამედ მედუზის ნაყინსაც.

ზოგადად, ფრენსისის კომპანიას ადრეც გამოუშვია უჩვეულო ნაყინები, მაგალითად, ერთ-ერთ პროდუქტს ყველ ჩედერის გემო აქვს, თუმცა იმას კი ვერ გეტყვით, რამდენად კმაყოფილი დარჩა მომხმარებელი აღნიშნული სიახლით.

*mainfun.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტე ბარში შევარდა და ყვირილი დაიწყო:

– ყველა პოლიტიკოსი ჩათლახია!!!

უცბად ერთ-ერთი მაგიდიდან დაკუნთული ტიპი წამოიმართა, აშკარად ძალიან გაბრაზებული, მუშტებმოკუმული:

– აბა, გაიმეორე რა თქვი, რა შეურაცხყოფა მომაყენე?!

– რა იყო, პოლიტიკოსი ხარ?

– არა, ჩათლახი!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჟაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.04